



ახალი განათლება

13-19.02.2020

№4 (878) გათვალისწინებულია 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

4

ლალი ჯალაძე

ინოვაციური აზროვნებაზე დაფუძნებული პროგრამა – ცვლილებებზე ორიენტირებული თანამედროვე გიდეები



ანა ბობაჯაშვილი: ჰომოგამა ჩამომყალიბდა ცვლილებებზე ორიენტირებულ, ახალი ტექნიკური პროექტის შემოქმედ მკვლევარ გიდე. ახლა შემოიღო შექმნა ჰეგონის სპეციფიკისა და ენტერპრის შესაბამისი ტექნიკური პროექტი, რომელიც საინტეგრირებელია ჰომოგამ ზოგადად ქვეყნის, ისე ჰეგონის ტექნიკური პროექტისთვის.

ანი ბაბაძე: ჰომოგამა, თავისთავად, იმ გაჩვენული საკვანდო უნარ-ჩვევების განვითარებაშიც დამუხმია, ხაც ზოგადად გიდე სჭიხდება ისეთი ტექნიკური დასაგებმად, რომელიც ჰეგონის განვითარებასა და პროექტისთვის იქნება მოხებული, ასევე, იმ უნარების განვითარებაშიც, ხაც, ზოგადად, ადამიანს სჭიხდება, რომ უფრო ნახმაცებული გახდეს.

9

ლალი თვალაბიშვილი


116 წლის შემდეგ ახლენილი ოცნება

„კახანაბ ლაბაშიძის აცბომის“ ჰეგონსანი



წვლილენა სქემაში

მათემატიკის, ფიზიკის ან ტექნოლოგიების საბნობრივ ჯგუფში შემავალი საბნის (ან საბნების) მასწავლებელს, რომელსაც მინიჭებული აქვს უფროსი, წამყვანი ან მენტორის სტატუსი და დიპლომით (ან დიპლომის დანართით) უფასტურდება ზამოჩამოთვლილი საბნებიდან ერთ-ერთის გავლა, მიცემა უფლება, ასწავლოს ზამოაღნიშნული საბნიდან რომელიმე.



ახალი სტანდარტი – მნიშვნელოვანი ძვრების საფუძველი პროფესიული განათლების სისტემაში



ინტერვიუ თამარ ქიტიაშვილთან

პროფესიული განათლება

ახალი სტანდარტი – მნიშვნელოვანი ძვრების საფუძველი სისტემაში

ლალი თვალაზიშვილი

როგორც განათლების მინისტრის მოადგილემ, თამარ ძიტიანოვიძემ ჩვენთან საუბარისას აღნიშნა, 2020 წელი პროფესიული განათლების სისტემისთვის მნიშვნელოვანი, გარდამტეხი წელია და „ეპოქა, რომელიც 2021 წლიდან დაიწყება, იქნება საკვანძო პროფესიული განათლების ევროპულ ხარისხთან საბოლოოდ მიახლოებისთვის“.

ხარისხის საერთაშორისო თამასთან დაახლოება, გუნებრივია, გვერ ცვლილებას მოითხოვს, შესაბამისად, მიმდინარე წელს გვერი სიხალე იგეგმება, მათ შორის: განახლება ავტორიზაციის სტანდარტი და დაიწყება დაწესებულება; არაფორმალური განათლების აღიარება; დაფინანსების მოდელის ცვლილება ხელფასების ზრდასაც მოიაზრებს – პროფესიული განათლების მასწავლებლები, 1 იანვრიდან, უკვე განახლებული დაანგარიშებით იღებენ ანაზღაურებას – საათში 15 ლარი; ჩარიცხვის ახალი მოდელი პრიორიტეტს მიანიჭებს ახალგაზრდებს, „ვინაიდან დღეს ჩვენ სერიოზული გამოწვევა გვაქვს, ის კოჰორტა, რომელიც ყველაზე მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი, ყველაზე ცოტაა ჩვენს სისტემაში შემოსვლით შორის.“ – გვითხრა ძალბატონმა თამარმა.

იგეგმება პროფესიული განათლების გაძლიერება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, კერძოდ – რამდენიმე სკოლა პროფესიული განათლების სრული პროგრამების მიწოდების მოზარდებს.

დაგოლოს, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, საბოლოოდ მოიხსნება ჩინი და შესაძლებელი გახდება, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძონ.

მიმდინარე წელს დაგეგმილ ამ და გვერ სხვა სიხალესა და ცვლილებებზე გვესაუბრება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ძიტიანოვიძე.



საერთაშორისო ხარისხთან პაემარობა

ჩვენთვის ხარისხის გაუმჯობესება პრიორიტეტია არა მხოლოდ წინა სტრატეგიის, 2013-2020-ის, არამედ მიმდინარე სტრატეგიის ფარგლებშიც, რომლის ქუდიქვეშაც ახლა ვოპერირებთ. 2020 გარდამტეხი წელია, ამ ციკლის დამასრულებელი, შემკვერი. იწყება მუშაობა ახალ, 2021-25 წლების, სტრატეგიაზე. რადგან წლებიდან წელი გარდამავალია, ბუნებრივია, ძალიან ბევრი სიხალე იქნება. ჩვენ დავეყრდენით ევროპის განათლების ფონდის (ETF) კვლევებს, საიდანაც ძალიან ბევრი ნიშანდობლივი საკითხი იკვეთება, კერძოდ ის, რომ სისტემას ვერ კიდევ აქვს ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევა. მართალია, გარკვეულ დონეზე, ამ რეფორმის ფარგლებში, პროფესიულ განათლებას გარკვეული იმიჯი დაუმკვიდრდა, თუმცა, ჩვენ უკვე იმ ეტაპზე ვართ, როდესაც ევროპულ ხარისხთან და საერთაშორისო ხარისხთან პაემარობა უნდა დაიწყოს, საერთაშორისო თამასს უნდა მივსადავოთ, ვინაიდან ალარ არის საკმარისი, ეროვნულ დონეზე, ჩვენს წევრში ვიხარშებოდეთ, გლობალური ბაზრები თავისას ითხოვს. ჩვენი მოქალაქეები მსოფლიო ბაზრებზე უნდა გახდნენ კონკურენტუნარიანები. მთელი ჩვენი შემდგომი სტრატეგია, პროფესიული განათლების განვითარების შემდეგი ეტაპი სწორედ ამზე ფოკუსირდება.

პროფესიული სწავლების მასწავლებელი

ადამიანური კაპიტალი და კერძოდ მასწავლებელი, ხარისხის თვალსაზრისით, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გახლავთ, ამავე დროს, მთელი სისტემის ხერხემალია. ამ კონტექსტში უნდა გავიხაროთ მასწავლებლის როლი და მისი მნიშვნელობა. ჩვენი მასწავლებლების ასაკი საკმაოდ მაღალია, ასე ვთქვათ, ახალი სისხლის შემოღება ძალიან რთულად ხდებოდა, ვინაიდან ის ანაზღაურება, რასაც ჩვენ ვუხდით (ჯერ კიდევ ორი წლის წინ, დარიცხული ხელფასი მ ლარი იყო საათში), სრულიად არაკონკურენტუნარიანი იყო ბაზარზე და გვიჭირდა კვალიფიციური კადრის მოზიდვა. კერძოდ, რა სირთულეს წარმოადგენს პროფესიული სწავლების პედაგოგის მოზიდვა, ზოგადსაგან განსხვავებით? ჩვენ ხომ არ გვყავს ისეთი კადრი, რომელიც ერთხელ შემოვა და შემდეგ მას სისტემაში „დავიჭერთ“ 30-40 წლის განმავლობაში, ზოგჯერ უფრო მეტიც, სანამ პენსიაზე არ გავა, ნელ-ნელა ვავითარებთ. პროფესიულ განათლებაში ეს მიდგომა არ გვაქვს, აქ გვეჭირდება გამოცდილი პროფესიონალები შრომის ბაზრიდან, მაგალითად, ისეთი შემდეგლებელი, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი, ამასთანავე, ჩვენ ხელს ვუწყობთ მის დარჩენას ბაზარზე, რადგან გვანყობს, ისეთი კადრი შემოვიყვანოთ, რომელიც, პარალელურად, წარმოებაშია და, მუდმივად, წარმოებასა და სასწავლო პროცესებს ერთმანეთთან აკავშირებს, ვინაიდან ჩვენს პრიორიტეტებში ერთ-ერთი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებაა. მაგალითად, კვალიფიციური, ბაზარზე დამკვიდრებული მზარეულის შემთხვევაში, ბევრად უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ მან შეძლოს სტუდენტების დასაქმება ან პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ამ მასწავლებლის განვითარების სისტემასა და მოდელს ცოტა სხვაგვარად ვხედავთ.

პროფესიული განათლების მასწავლებლის განვითარება

ეს არ არის სქემა, სადაც მას აუცილებლად ვავალდებულებთ განვითარებას და შესაბამის საფუძვლებსა და კატეგორიებში გადასვლას, არამედ ვქმნით ჩარჩოს (მსოფლიო ბანკის

მონაწილეობით და კარგი მმართველობის ბრიტანული ფონდის მხარდაჭერით), მოდელს, პირველ რიგში, როგორ მოვიზიდოთ მასწავლებელი, როგორ შემოვიყვანოთ სისტემაში. ამისათვის, ცხადია, დასაძლევია იქნება გარკვეული პროგრამა პედაგოგიკაში, რომელიც მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაიაროს. მაგალითისათვის განვიხილოთ ელექტრონობის მასწავლებელი – თუ მე გამოცდილი ელექტრიკოსი ვარ, ვმუშაობ, ვთქვათ, ენერგობრო ჯორჯიაში, მაქვს სურვილი, ვსწავლო, მოვიძიე სათანადო ინფორმაცია, რომ გავაფორმო ხელშეკრულება და დავიწყო მასწავლებლად მუშაობა, თითქოს არაფერი მიშლის ხელს, მაგრამ ვერ მივიღებ პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსს, ვიქნები მონვეული მასწავლებელი. იმისათვის, რომ სტატუსი მივიღო (საორიენტაციოდ ორი წლის განმავლობაში), თუ მაქვს სურვილი, დავრჩე და გავაგრძელო სწავლება, უნდა დავძლიო გარკვეული პროგრამა, რომელიც ექვსი მოდულისგან შედგება. ამ პროგრამის დადასტურების შემდეგ, მივიღებ მასწავლებლის წოდებას, პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსს, ვინაიდან პრაქტიკული გამოცდილება უკვე მაქვს. თუკი მე ახალგაზრდა ვარ, ბაკალავრიატიდან შემოსული, მაშინ, ამ ორ წელიწადში, პედაგოგიკის კურსის დაძლევისთან ერთად, სამუშაო გამოცდილება უნდა დავაგროვო. პროფესიული განათლების მასწავლებელი რომ გავხდე, შესაბამისი სტატუსი მივიღო, ერთი მხრივ, მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება მჭირდება და, მეორე მხრივ, პედაგოგიკის ცოდნა. აი, ამ ორ მდგენელს მივყავართ, ასე ვთქვათ, მასწავლებლის სტატუსამდე.

რაც შეეხება უკვე მასწავლებლის განვითარებას, აქ სავალდებულო არაფერი არ არის. თუ შენ გინდა, დარჩე მუდმივად, თან წარმოებაში იყო და თან კვირაში რამდენიმე საათი იკითხო, ამაში არაფერი გიშლის. სავალდებულო არ არის, როგორც ეს ზოგადშია, სქემაში რაღაც კატეგორიებზე გადასვლა, პროფესიული განათლების შემთხვევაში მსგავსი რამ არ არის. თუ სტატუსი მოიპოვე, მერე შეგიძლია, მუდმივად იმ მდგომარეობაში იყო და შეინარჩუნო შენი სტატუსი. ჩვენი თვითმიზანი არ არის, რომ პროფესიული სწავლების მასწავლებელმა საფუძვლებზე იაროს, ჩვენი მიზანია უფრო მეტი პრაქტიკოსი ადამიანი გვყავდეს სისტემაში, რომელსაც მაჯისცემაზე ედება ხელი – რა ხდება წარმოებაში, რა ვითარებაა ბაზარზე. ამიტომ, ჩვენთვის უფრო საინტერესოა, შევინარჩუნოთ მისი ის მეორე ცხოვრება და მაქსიმალურად ვეცდებით, ისეთი მოქნილი სისტემა შევქმნათ, რომელიც მას მისცემს იმის შესაძლებლობას – თან ასწავლოს და თან წარმოებაში შეინარჩუნოს პოზიცია.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს რაიმე დამატებითი ფუნქციის შესრულება სურს, მაგალითად, გახდეს სხვების მენტორი ან შეითავსოს საკოორდინაციო-ადმინისტრაციული ფუნქციები, მას უკვე მოუწევს გარკვეული დამატებითი ცოდნის შექმნა და ამ ცოდნის დადასტურება, მაგრამ ამას არ აქვს სქემის ფორმა. ამისათვის მისთვის შეთავაზებული იქნება განვითარების დამატებითი შესაძლებლობები. იმ შემთხვევაში, თუკი ამ ყველაფერში ჩაერთვება, მას მიეცემა უფლება, რომ, ვთქვათ ახალმოსულ მასწავლებლებს გაუწიოს ზედამხედველობა და აღმოუჩინოს მხარდაჭერა. ეს ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია, მხოლოდ კონტურები გამოიკვეთა და ძირითადი კონცეფცია ეს არის. დეტალები თანდათან გამოიკვეთება, სახელწოდებებიც დაერქმევა და წლის ბოლომდე ამოქმედდება.

ახალი სტანდარტი

მე უკვე ვახსენე საერთაშორისო გამოწვევები და ჩვენი პროფესიული განათლების ხარისხის საერთაშორისო თამასთან მიახლოება, ამ ქრილში სიხალე გვაქვს – დღე-დღეზე დამტკიცდება ავტორიზაციის ახალი სტანდარტი და დაიწყება დანერგვა. დანესებულებებს მოუწევთ, დააკმაყოფილონ

ახალი სტანდარტის მოთხოვნები, რომელიც, თავიდან ბოლომდე, ევროპულ გამოცდილებას ეფუძნება და პროფესიული განათლების ევროპული ხარისხის ქსელის ინდიკატორების ანალიზის საფუძველზეა შემუშავებული. ამ სტანდარტს სრულიად სხვა დონეზე გადაწყავს პროფესიული განათლების დანესებულებები, მათთვის გარკვეული გამოწვევაც კი იქნება ამ სტანდარტების დაკმაყოფილება. ამიტომ, მთელი წლებიდან წელი, დაეთმოება მათ მხარდაჭერას, რომ ახალ სტანდარტთან შესაბამისობაში მოვიდნენ.

ახალი სტანდარტი პროფესიული განათლების დანესებულებებს ბევრ გამოწვევას უქმნის, შემოდის კოლეჯის მმართველობის სრულიად ახალი კულტურა, ესეც უნდა გადაიხედოს, შესაბამისად, მათ მოუწევთ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის გარკვეული მექანიზმების გადახედვა-გაძლიერება და ა.შ., რაც ბევრ ძვრებს გამოიწვევს სისტემაში.

დაფინანსების განახლებული მოდელი

ვეგეგვით, რომ საერთაშორისო ხარისხის თამასის დამკვიდრებას განახლებული დაფინანსების მოდელითაც დაუჭიროთ მხარი. კერძოდ, წელს, დაფინანსების ახალი სისტემა გვექმნება, რომელიც ნახალისებს კოლეჯის განვითარებას, ვინაიდან, ერთი მხრივ, აქ ჩნდება ისეთი მექანიზმები, როგორიც არის კოლეჯის განვითარებაზე ორიენტირებული დაფინანსება, ვაუჩერული დაფინანსების მიღება, ანუ პროგრამული დაფინანსება დაიყოფა და იქნება: კოლეჯის განვითარების დაფინანსება, კაპიტალური დაფინანსება, მიღწევებზე დაფუძნებული დაფინანსება, ანუ ის კოლეჯები, რომლებსაც განსაკუთრებული მიღწევები ექნებათ, ნახალისდებიან და დაფინანსების დამატებითი მექანიზმი იქნება მათი მოტივაციის გაზრდისთვის, ასევე სოციალური პაკეტები იმისათვის, რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტებს შევუწყოთ ხელი ადაპტაციასა და ინკლუზიაში, იქნება ეს საცხოვრებლის დაფინანსება, კვების, ტრანსპორტის თუ სხვ. სოციალური პაკეტიც შემოდის, როგორც დაფინანსების მექანიზმი. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს სისტემის განვითარებას.

მნიშვნელოვანი სიხალეა, რომ მასწავლებლის ხელფასი, პროფესიული განათლებაში, 15 ლარი გახდა (საათობრივი ანაზღაურება). პირველი იანვრიდან მათ უკვე განახლებული დაანგარიშებით მიიღეს ხელფასი, მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ეს არის საბაზისო, როდესაც ახალი მოდელი ჩაეშვება, განვითარების სტატუსის მიხედვით, მასწავლებლების ანაზღაურებაც იქნება სტიმულირებული და მოტივირებული შესაბამისი ზრდით.

ჩარიცხვის ახალი მოდელი

ჩარიცხვის ახალი მოდელი სტუდენტების საჭიროებებზე იქნება მორგებული. დღეს ჩვენ ერთიანი ეროვნული სისტემა გვაქვს, რომელიც შეიცვლება, შეიძლება კვლავ ერთიანი იყოს, მაგრამ პროგრამის საჭიროებებსა და ამ პროგრამაზე შემოსული სტუდენტის საჭიროებებზე იქნება მორგებული. კერძოდ, თუ დღეს ახალგაზრდები და ზრდასრულები ერთ-გვაროდნად შემოგვყავს სისტემაში და ერთმანეთს უწევენ კონკურენციას, რითიც, ხშირ შემთხვევაში, ზარალდებიან ახალგაზრდები, ასევე, სოციალურად დაუცველები, უთანასწორობის ეს მომენტი გამოსწორდება და მათ გარკვეული უპირატესი უფლება მიენიჭებათ. ჩარიცხვის ახალი მოდელი მათ ინტერესებსაც გაითვალისწინებს და სახელმწიფოს ინტერესსაც, რომ ჩარიცხვისას პრიორიტეტი მიანიჭოს ახალგაზრდებს, ვინაიდან დღეს სერიოზული გამოწვევა გვაქვს – კოჰორტა, რომელიც ყველაზე მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი, ყველაზე ცოტაა ჩვენს სისტემაში შემოსვლითა შორის.

პროფესიული განათლება

კარიერული განვითარება და პროფესიული განათლება სკოლაში

ნელს იგეგმება საკარიერო განათლების (Career Education), კარიერული ორიენტაციისა და განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავება. ეს იქნება უწყვეტი განათლების ჩრდილო დასავლეთი, მთელი სიცოცხლის მანძილზე საკარიერო მომსახურების კონცეფცია, რომელსაც სამინისტრო შექმნის, დანერგვა ნელს დაიწყება.

მოგვხსენებთ, რომ ჩვენ გვაქვს პროგრამა „პროფესიული განათლება სკოლაში“, რომლის ფარგლებშიც, უკვე 15 000-მა მოსწავლემ ისარგებლა 2 წლის განმავლობაში. ჩვენ შევდივართ სკოლაში პროფესიული პროგრამებით, ორთიანი, საორიენტაციო და სასერტიფიკაციო პროგრამებით და ვაძლევთ სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობას, საბაზისო პროფესიული უნარები გამოიმუშაონ. უკვე 700 სკოლა დაფარავს სკოლების შერჩევის პრინციპით, ვთქვათ, გეოგრაფიული და ფარვა, ვცდილობთ, ყველა რეგიონში მივცეთ მოსწავლეებს შესაძლებლობა და ნელ-ნელა ყველა მუნიციპალიტეტს დავფარავთ, თან კოლეჯების რესურსსაც ვითვალისწინებთ, ვინაიდან ამ პროგრამის მიზნების პრინციპი – კოლეჯი და სკოლა თანამშრომლობს. შესაბამისად, კოლეჯსაც უნდა ჰქონდეს სათანადო რესურსი, ხელმისაწვდომობა, ასევე, ვითვალისწინებთ სკოლის მოტივაციას და მზაობას. პროგრამაში ჩასართავად, კოლეჯი და სკოლა, ერთობლივად, აკეთებენ განაცხადს სამინისტროში და ამის საფუძველზე ფინანსდება. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ვაფართოვებთ ქსელს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია კარიერული განათლებისა და ორიენტაციისთვის. ვფიქრობთ, ამ კომპონენტს კიდევ უფრო გავაძლიერებთ სხვა ინსტრუმენტებითაც.

პროფესიული განათლების ხარისხსა და ინტერნაციონალიზაციაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნელს 500 საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი გაცივმა, ანუ ჩვენ ნელს პრიორიტეტში გვაქვს ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების დანერგვა პროფესიულ განათლებაში. ამაში ჩავრთავთ საერთაშორისო განათლების ცენტრს. ისინი, ნელს პირველად, დაიწყებენ ამ პროგრამას და მომზადდება-გადამზადდება ჩვენ გადავცემთ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატებს ტურიზმის, სამშენებლო და სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ამ მასშტაბზე ჯერ არასოდეს გავსულვართ. შარშან გვექონდა პირველი შემთხვევა, როდესაც „პირსონის“ 60 საერთაშორისო სერტიფიკატი გავეცით, ნელს ეს რაოდენობა, ასე ვთქვათ, დრამატულად გაიზარდა.

რადგან სკოლებს შეეხება, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნელს გაძლიერდება პროფესიული განათლება სკოლებში, კერძოდ, დაიწყებთ სიახლეს – პროფესიული განათლების სრული პროგრამების მიწოდებისთვის მოვამზადებთ რამდენიმე სკო-

ლას, ასევე, მომზადდება-გადამზადების მიწოდებისთვის, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ სკოლა ძალიან კარგი რესურსია რეგიონებში, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, ისეთ მუნიციპალიტეტებში, სადაც პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა არ გვაქვს. არ არის აუცილებელი, ყველგან პროფესიული კოლეჯი გაიხსნას, შესაძლოა სკოლის და უნივერსიტეტის რესურსი იქნეს მაქსიმალურად ათვისებული იმისათვის, რომ მსურველებს პროფესიული განათლება მივანდოთ. აქცენტი, კიდევ გავიმეორებ, იმ რეგიონულ სკოლებზე კეთდება, სადაც არ გვაქვს ხელმისაწვდომობა პროფესიულ განათლებაზე.

ინტეგრირებული პროფესიული პროგრამები

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და უნდა გავსვას ხაზი, რომ ნელს ვინცებთ ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების უფრო მასშტაბურ დანერგვას (2016 წლიდან პილოტირების რეჟიმში მიდიოდა, გაეროს მხარდაჭერით), რომლებიც მოხსნის ჩიხს და შესაძლებელს გახდის, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში. ნელს მასშტაბი იზრდება და ინტეგრირებული პროგრამების განხორციელებას 6 კოლეჯი დაიწყებს.

2018 წელს მიღებულმა კანონმა სულ სხვა სიბრტყეზე გადაიყვანა პროფესიული განათლების რეფორმა, ბევრ რამეში გავგეხსნა კარი, ბევრი რამ სხვაგვარად დაინახა სისტემამ და, სწორედ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით, სრულიად სხვა მასშტაბზე გავვედით. ამიტომაც, თამამად ვსაუბრობთ ჩვენი ხარისხის ინტერნაციონალიზაციაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე დაიწყეთ სწორება. აქამდე შიგნით იმდენი პრობლემა იყო მოსაგვარებელი, რომ ამის ფუფუნება არ გვექონდა. სისტემამ უკვე სხვა საფეხურზე აინია და სხვაგვარად დაიწყეთ ორიენტირება და სწორება. ემოქა, რომელიც 2021 წლიდან დაიწყება, იქნება საკვანძო პროფესიული განათლების ევროპულ ხარისხთან საბოლოოდ მიახლოებისთვის. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ 2013-20 წლის რეფორმა საძირკველი იყო, ე.წ. პროგრამა მინიმუმი, რაც შევასრულეთ იმისთვის, რომ საარსებო პრობლემები გადაგვეჭრა, უფრო ეგზისტენციალური, ახლა უკვე დამკვიდრებული ვართ, სისტემური კომპონენტები ადგილზეა და ვინცებთ სრულიად სხვა მასშტაბის რეფორმას, ინტერნაციონალურ ხარისხზე მუშაობას.

არაფორმალური განათლების აღიარება

ნელს მომზადდება-გადამზადების პროგრამების მასშტაბიც გაიზრდება და გვექნება საინტერესო სიახლე – დაიწყება არა-

ფორმალური განათლების აღიარების პილოტირება. მათ, ვინაც არაფორმალურად აქვთ მიღებული ცოდნა (მაგალითად, 10 წელი მუშაობენ შემდეგლებად, მაგრამ არ აქვთ ხელზე არანაირი საბუთი ან ცნობა ამის დამადასტურებელი, არც სერტიფიკატი, არც დიპლომი) შეეძლებათ ილიარონ, ფორმალურად გაუკეთონ თავიანთ უნარებსა და გამოცდილებას და მიიღონ შესაბამისი სერტიფიკატი.

ნელს არაფორმალურ განათლებაში IT და სამშენებლო მიმართულების პროგრამების პილოტირება გვაქვს დაგეგმილი, ასევე, გავზრდით სამუშაოზე დაფუძნებულ, ანუ დუალური პროგრამების მასშტაბს, ამ მიმართულებით ინტენსიურად გავაძლიერებთ მუშაობას.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ წლის ბოლომდე დასრულდება პროფესიული განათლების პროცესების სრული ავტომატიზაცია. ძალიან დიდი პროექტი დაიწყეთ შარშან და დასასრულს უახლოვდება ახალი პორტალის შექმნა, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს შეეძლებათ სრულფასოვანი ინფორმაციის, სტატისტიკური მონაცემების მიღება. ინტერაქტიული, თანამედროვე პორტალი ახალგაზრდების ორიენტაციას და ინფორმირებასაც ბევრად შეუწყობს ხელს და ჩვენი სისტემის შიგნით კოლეჯების ეფექტიანობასაც გაზრდის იმიტომ, რომ გააუმჯობესებს მათ ოპერაციებს, ქალაქი საერთოდ ამოღებული იქნება ბრუნვიდან, ყველაფერი ელექტრონულად ინარჩუნებს, დაწყებული განაცხადის გაკეთებიდან და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის დამატებით დასრულებული.

ავტორიზაციის ახალი სტანდარტი

პროგრამების მიღება და დამატება, შემოსვლა სივრცეში ხდება იმ ახალი სტანდარტით, ავტორიზაციის გზით, რომელიც ეტაპობრივად ხორციელდება. ჩვენ გვაქვს საგანმანათლებლო სტანდარტები, რომელთა მიხედვით კოლეჯები ქმნიან პროგრამებს და რომლებსაც ავტორიზაციის გზით, ნელ-ნელა, იმატებენ. სწორედ ამაშია გამოწვევა, რომ ახალი სტანდარტია და მათ მეტი მუშაობა მოუწევს, რაც გაზრდის ახლად დამატებული პროგრამების ხარისხს, ვინაიდან ახალი სტანდარტით იქნება მომზადებული. ეს კი აუცილებლად გულისხმობს: დამსაქმებლის ჩართულობას; ყველა სტიქი-პოლდერთან, რეგიონულ პოლიტიკასთან ახლადამატებული პროგრამის თავსებადობას; წინასწარ დასაქმებისა და თვითდასაქმების შესახებ არგუმენტაციას (რომ ეს პროგრამა ნამდვილად საჭიროა, ამა და ამ ტიპის დასაქმებას მოგვცემს და ა.შ.). ჩვენ მივიღებთ ხარისხობრივად, თვისებრივად განსხვავებული ხარისხის პროგრამებს, რაც ცხადია, საბოლოოდ, კურსდამთავრებულების დასაქმებაზე და მათი საქმიანობის სტატუსზე, ზოგადად, პროფესიული განათლების ხარისხზე აისახება.

ინფორმაცია

კვლავ მოტივაციის ასაგაღებლად მასწავლებელთა სქემაში სვლილებები შევიდა

განათლების რეფორმის ფარგლებში, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ცვლილება შევიდა. კერძოდ, მათემატიკის, ფიზიკის ან ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის (ან საგნების) მასწავლებელს, რომელსაც მინიჭებული აქვს უფროსი, წამყვანი ან მენტორის სტატუსი და დიპლომით (ან დიპლომის დანართით) უდასტურდება, ზემოწამოთვლილი საგნებიდან ერთ-ერთის გავლა, მიეცემა უფლება, ასწავლოს ზემოაღნიშნული საგნიდან რომელიმე.

გარდა იმისა, რომ ამ ცვლილებით იზრდება მასწავლებლის მოტივაცია, სამინისტროს მიერ აქცენტი კეთდება საგანთა შორის შინაარსობრივ კავშირზე, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია.

აღსანიშნავია, რომ ანალიზის შედეგად, სკოლებში, გამოიკვეთა მასწავლებლის არასაკმარისი რესურსი ფიზიკის, ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნების და მათემატიკის სპეციალობების მიმართულებით. შესაბამისად, სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოაღნიშნული ცვლილების შემუშავება.

საბოლოოდ, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის – ფიზიკის ან ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნების მასწავლებელი ასწავლის შემდეგი წესით:

ა) მათემატიკის მასწავლებელი უფლებამოსილია, იმავე ან/და სხვა საფეხურზე, ასწავლოს ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგანი/საგნები ან/და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგანი – ფიზიკა;

ბ) ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნების მასწავლებელი უფლებამოსილია, იმავე ან/და სხვა საფეხურზე, ასწავლოს მათემატიკა ან/და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგანი – ფიზიკა;

გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის – ფიზიკის მასწავლებელი უფლებამოსილია იმავე ან/და სხვა საფეხურზე ასწავლოს მათემატიკა ან/და ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგანი/საგნები.

საზგასამართლო ისიც, რომ საჯარო სკოლა ვალდებულია, სასკოლო საათობრივი ბაზით გათვალისწინებული საათები, პირველ რიგში, გაუნაწილოს და შეუვსოს სრულ დატვირთვამდე კონკრეტული საგნის უფროსი, წამყვანი ან/და მენტორის მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და შემდგომ – საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს.

ბურიის რეგიონში პროფესიული განათლების ქსელი ფართოვდება



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი



ოზურგეთის კოლეჯ „ჰორიზონტს“ ეწვია, სადაც კოლეჯის სასწავლო ლაბორატორიები მოინახულა, სტუდენტებს შეხვდა და პროგრამების მიმდინარეობასა და არსებულ საჭიროებებზე მიიღო ინფორმაცია.

ვიზიტის ფარგლებში, მინისტრის მოადგილემ სამუშაო შეხვედრა გამართა გურიის გუბერნატორთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა რეგიონში პროფესიული განათლების ქსელის გაფართოებასა და ადგილობრივ ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობაზე.

შეხვედრაზე გურიის გუბერნატორმა ისაუბრა კოლეჯის როლზე რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესში და, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მზაობა გამოთქვა, ხელი შეუწყოს კოლეჯ „ჰორიზონტისა“ და, ზოგადად, რეგიონში პროფესიული განათლების განვითარებასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ამ ეტაპზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს კოლეჯ „ჰორიზონტის“ ფილიალის ორი სასწავლო კორპუსის მშენებლობა, სადაც პროგრამები სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, სასტუმრო მომსახურების, გადამამუშავებისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ამოქმედდება. მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება კოლეჯის ოზურგეთის ბაზაზეც. წლის ბოლოსთვის დასრულდება დამხმარებელი შენობის მშენებლობა, სადაც სახელოსნოები და ლაბორატორიები გაიხსნება, რაც კოლეჯს დამატებითი პროფესიული პროგრამების ამოქმედების შესაძლებლობას მისცემს.

პროფესიული განათლება

ინოვაციური აზროვნებაზე დაფუძნებული პროგრამა – სვლილებებზე ორიენტირებული თანამედროვე ბიდეები

ლალი ჯალაძე

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ, USAID-ის პროგრამა „ზრდის“ ინიციატივით და დაფინანსებით, რეგიონული ტურისტული გიდის გადამზადების მოკლევადიანი სასერტიფიკაციო კურსის შემუშავება-დანერგვის პროექტი განხორციელდა.

კურსი დაინერგა სამეგრელოს, კახეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. პარტნიორი სასწავლებლები არიან: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესიული კოლეჯი „განთიადი“, საზოგადოებრივი კოლეჯები: „ოპიზარი“ და „აისი“. 2019 წლის შემოდგომაზე, ოთხივე სასწავლებელში, ჩატარდა საპილოტე კურსები. შესარჩევ კონკურსში, ჯამში, 120-ზე მეტმა პირმა გააკეთა განაცხადი, მათგან 75 შეირჩა, ხოლო კურსი სრულად გაიარა და სერტიფიკატი გადაეცა 63 მონაწილეს.

12 თებერვალს, კურსდამთავრებულებს და პროექტის ფარგლებში გადამზადებულ მასწავლებლებს, შემაჯამებელ ღონისძიებაზე, სერტიფიკატები გადასცეს.

რეგიონული ტურისტული გიდის მომზადების პროგრამის მიზანია რეგიონის ტურისტული პოტენციალის გამოვლენისა და ზრდის ხელშეწყობა, ცვლილებასა და ინოვაციაზე ორიენტირებული ადგილობრივი ტურისტული გიდის მომზადებით. კურსი მიმართულია ადგილზე იმ უნარების გაუმჯობესებაზე, რომელიც უზრუნველყოფს უნიკალური რეგიონული თავისებურებებით გაჯერებული მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შექმნას.

აღნიშნული კურსის მთავარი თემებია: გიდის სამუშაოს აღწერა; ეთიკის საერთაშორისო ადგილობრივი სტანდარტები; ტურისტული პროდუქტის არსი და კონცეფცია; ექსკურსიის/ტურის შექმნა; საამბო ტექსტის შემუშავება; ჯგუფის გადართვა და მართვა; ტურისტული ობიექტის დემონსტრაცია; უსაფრთხოების საკითხები. კურსის მსვლელობისას, საკურსო ნაშრომის სახით, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონაწილეებმა შეიმუშავეს ახალი ექსკურსია/ტურები, საავარჯიშოებისა და სიმულაციების მეშვეობით კი მათ გიდობის უნარების პრაქტიკაში გამოცდისა და დახვეწის შესაძლებლობა მიეცათ.

CTC-ის ხელმძღვანელი ირინა ხანთაძე ამბობს, რომ მათი სურვილია, კურსმა ამ კოლეჯებში არსებობა განაგრძოს და მხოლოდ ერთჯერადი აქტივობით არ შემოიფარგლოს, ამავდროულად, გახდეს კარგი პრეცედენტი მოკლევადიანი გადამზადების პროგრამების მიმართულებით: „ჩვენი მიზანი, გარდა იმისა, რომ რეგიონში გაჩნდეს საჭიროებაზე მორგებული ახალი საინტერესო პროგრამები, ისიც არის, რომ პროგრამა ერთჯერადი არ იყოს და გავრცელდეს უკვე ავტორიზებული პროგრამების სახით. ასეთი პრეცედენტის შექმნაში კი, უმნიშვნელოვანესია თავად კოლეჯების როლი. გვინდა, რომ პროექტი, ამ თვალსაზრისითაც, კარგ ქეისად იქცეს, პროგრამების მდგრადობის მოლოდინი გვაქვს და იმედია, სასწავლებლებიც იაქტიურებიან და განათლების სისტემაზე კეთილგანწყობილი იქნება, რომ ამ პროგრამებმა ავტორიზაცია მიიღონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს უკვე შექმნილი პროგრამები საიმედო განვითარებას კოლეჯებში.“

USAID-ის პროგრამა „ზრდის“ ხელმძღვანელმა, ზაინ კინგმა აღნიშნა, რომ პროგრამა ხელს შეუწყობს რეგიონული ტურისტული გიდების შესაძლებლობების განვითარებას, მათი უნარების დახვეწას, რომ მომავალში ვიზიტორებს უკეთესი სერვისი შესთავაზონ. მისივე თქმით, აღნიშნული პროგრამის მეორე რაუნდი მალე, ტურისტული სეზონის დაწყებამდე, დაიწყება და იმედს გამოთქვამს, რომ ადგილობრივი ტურიზმის განვითარებაში გარკვეულ წვლილს შეიტანს.

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „ზრდა“ ხუთწლიანი პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკო-



ნომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. რეგიონებში ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად, პროგრამა ხელს უწყობს ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავებას, ახალი ტურისტული ობიექტებისა და ლირსშესანიშნაობების პოპულარიზაციას, ტურიზმის სექტორში ჩართული მხარეების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას, კომპლექსური მიდგომების გამოყენებით. პროექტის განხორციელების შედეგად, სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა.

პროექტში ჩართული სასწავლებლების ხელმძღვანელები, პროგრამის საჭიროებაზე საუბრისას, ხაზგასმით ამბობენ, რომ დღეს ეს პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან რეგიონებში ტურიზმის პოტენციალის გაზრდა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, თუნდაც ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სტანდარტულად მომზადებული გიდები კი, სფეროში არსებულ გამოწვევებს ვერ პასუხობენ.

ლელა ავალიშვილი, კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორი: „სტანდარტული პროგრამები არსებობს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ავროტურიზმი ვითარდება, განსაკუთრებით რეგიონებში, გაიზარდა საოჯახო სასტუმროები, რომლებიც ცდილობენ, თვითონ მოაგვარონ ეს პრობლემები და ინფორმაცია მიიღონ ტურისტებს. გაჩნდა საჭიროება, რომ არა მხოლოდ სტანდარტულად მომზადებული გიდები გვეყოლოდა, არამედ სიახლეებზე მორგებული გიდებიც. სწორედ ამ მიმართულებით ვიმუშავეთ ირინა ხანთაძესთან ერთად და შეიქმნა გიდების მომზადების ახალი პროგრამა. შემდეგ კოლეჯებში განვხორციელეთ და ჩაიდო მდგრადობისთვის კომპონენტი, რომელიც ამ მოკლევადიანი მოსამზადებელი პროგრამის ავტორიზაციას გულისხმობს. საპილოტე პროგრამის დასრულების შემდეგ, გარკვეული რეკომენდაციებიც გვაქვს. ფოკუსიც უნდა გავზარდოთ და გავრვიდეთ ავტორიზებულ კურსში შეიძლება ბაკალავრიატის მოთხოვნაც ჩაიდოს, თუმცა, არსებული კურსი უნდა დატოვოთ, ასევე, არაფორმალური კურსის სახითაც, რომ ნებისმიერი მსურველისთვის იყოს ხელმისაწვდომი.“

ჩემს კოლეჯში 63 მსურველი დარეგისტრირდა, მათგან 20 შეირჩა და 17-მა შეძლო დასრულება. კურსის ფარგლებში, მსმენელებმა შექმნეს ტურისტული მარშრუტები – ასპინძის,

ადიგენისა და ახალციხის მიმართულებით სრულიად ახალი ტურისტული მარშრუტები გაჩნდა.“

მაღლაზ ასლამაზაშვილი, კოლეჯ „აისის“ დირექტორი: „ვფიქრობთ, კოლეჯის პროგრამები ძალიან მოქნილი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული უნდა იყოს, სწრაფი რეაგირების საშუალებებს უნდა იძლეოდეს. ერთ-ერთი მთავარი ღირებულება სწორედ ეს არის – მოქნილი და სიახლეებზე ორიენტირებული კოლეჯი, რომელიც განვითარებისთვის სწრაფ ნაბიჯებს დგამს. ამიტომ, ჩვენ საერთოდ არ დავფიქრებულვართ პროექტის განხორციელებაზე, მაშინვე დავთანხმდით. რაც მთავარია, წარმატებული გამოვიდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტურიზმის ინდუსტრია თავისთავად საჭიროებს გარკვეული მიდგომების დივერსიფიკაციას, პროგრამამ ზუსტად ამის საშუალება მოგვცა. ამ ადამიანებმა/მსმენელებმა შეძლეს რეგიონებში თემატური ტურების აღმოჩენა და ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.“

კოლეჯში გიდის პროგრამა აქამდეც გვექონდა, ვახორციელებთ ანალოგიურ გრძელვადიან პროგრამას „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი“, თუმცა ასეთი ტიპის მოკლევადიანი პროგრამა, ამგვარი მიდგომებით არასოდეს გვექონია. ახლა უკვე ინტენსიურად დაგეგმავთ მის და პროექტის მდგრადობის მიზნით, ახალი პროგრამა აუცილებლად გაივლის ავტორიზაციასაც.“

საპილოტე პროგრამის ფარგლებში, ჩვენმა კოლეჯმა 15 მსმენელი მოამზადა. რაც მთავარია, მათ ისეთი უნარები შეიძინეს, რომელიც მართლაც ინოვაციურ მიდგომებზეა დაფუძნებული, რაც ხელს შეუწყობს იდეების გენერირებას, რეგიონში პატარა-პატარა აღმოჩენებს ტურისტული მიმართულებით და შემდეგ, ამის საფუძველზე, ტურისტული პროდუქტების შექმნას.

ზოგადად, პილოტირება ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, რადგან პროგრამის განმარტებული ადამიანები, ორგანიზაციები უკვე პრაქტიკაში ვხედავთ გარკვეულ ხარვეზებსა და მიმართულებებს, საით წავიდეთ შემდგომში. ჩვენ შევძლებთ ამ ახალი პროგრამის მორგებას რეგიონის საჭიროებებზე.“

დღეს სერტიფიკატები გადაეცათ ჩვენს კურსდამთავრებულებს და ეს არის ჩართული მხარეების ერთობლივი სერტიფიკატი, ხოლო ავტორიზაციის გავლის შემდეგ, ისინი სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატებს მიიღებენ.“

თეონა ზუფენია, ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი: „ზოგადად სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაში განსაზღვრულია და გაცხადდა, რომ პროფესიული და უმაღლესი განათლება თანაბრად არის განვითარებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ პროფესიული მიმართულებით რეფორმას კვალდაკვალ მივყვებით. შესაბამისად, შედეგი გახლავთ ის, რომ ჩვენი არსებობის 10 წლის მანძილზე, შევიმუშავეთ და განვხორციელეთ, დაახლოებით, 35 საგანმანათლებლო პროგრამა, ამის გარდა, უკვე ახალ სტანდარტებთან და ჩარჩო დკუმენტთან შესაბამისი 18 მოდულური პროგრამა. შემოიღია, ჩვენი შედეგები ციფრებით დაგისახელოთ – უკვე გვყავს 1000-მდე პროფესიული სტუდენტი და მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსებით გადამზადებული 3000-მდე ბენეფიციარი. რადგან მომზადება-გადამზადების კურსებში ჩვენ საკმაოდ კარგი გამოცდილება დავგვიგროვდა, თან დიდი მოთხოვნა გაჩნდა ამ მიმართულებით, სიამოვნებით ჩავერთეთ აღნიშნულ პროექტში. ბუნებრივია, უფრო ეფექტურია სწრაფი და მოქნილი პროგრამების ამუშავება, რომელიც პირდაპირ ორიენტირებულია შრომის ბაზარზე – დასაქმებაზე. ამ პროექტის ფარგლებში, შემუშავდა დამატებითი კომპეტენციები, რაც რეგიონზე მორგებული გიდის კომპეტენციებს გულისხმობდა. მინდა გითხროთ, რომ ძალიან ეფექტური და მოქნილი პროგრამაა, რაც მთავარია, ეს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის საფუძველი გახდება, საითკენაც სისტემა ორიენტირებული.“

კურსდამთავრებულთა გამოკითხვა აჩვენებს, რომ 95%



პროფესიული განათლება

კურსით კმაყოფილია. ყველა გამოკითხული მონაწილე ადასტურებს კურსის შესაბამისობას და მისი გამოყენების უპირატესობას, ხოლო უმრავლესობა (90%) მზადაა, რეკომენდაცია გაუწიოს სხვებს, რომ გაიარონ აღნიშნული პროგრამა.

„კურსმა საშუალება მომცა, აღმოვაჩინო ჩემთვის საჭირო ნიუანსები და ვიცოდე რა არის დღეს თანამედროვე გიდის სტანდარტი და გამოწვევები. კურსის პრაქტიკული და თეორიული ნაწილი აღნიშნული მიზნებისთვის შესაფერისია“; „ბევრი რამ ვისწავლე. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის მიმართულებით ვსწავლობდი, ამ კურსმა ბევრი პრაქტიკული მიმართულება მომცა“; „დამეხმარება ჩემს სოფელში ტურიზმი განვავითარო“; „თითოეული დღე წინაზე უკეთესი და საინტერესო იყო, ინტერაქტიული და დატირთული“ – ეს გამოკითხულ მსმენელთა ჩანაწერებიდან ამონარიდებია.

კოლეჯ „განათლების“ რეგიონული ტურისტული გიდის გადამზადების მოკლევადიანი სასერტიფიკაციო კურსდამთავრებული ანა გოგებაშვილი ამბობს, რომ პროექტმა მრავალმხრივი პრაქტიკული უნარები და ცოდნა შესძინა: „ჩამომავალი ცვლილებებზე ორიენტირებულ, ახალი ტურისტული პროდუქტის შემოქმედ მკვლევარ გიდად. პროგრამის ფარგლებში, შევისწავლე ახალი პროდუქტის აღმოჩენის და ტურისტულ პროდუქტად გარდაქმნის უნარები. ახლა შემოიღია შევქმნა რეგიონის სპეციფიკისა და კონტექსტის შესაბამისი ტურისტული პროდუქტი, რომელიც საინტერესო იქნება როგორც ზოგადად ქვეყნის, ისე რეგიონის ტურისტული პოტენციალისთვის. ეს გარკვეული მასტერკლასი აღმოჩნდა ჩემთვის. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სწორედ

ტურიზმის მიმართულებით ვსწავლობდი.“

შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტისთვის, ანი გაბელიასთვის, რომელიც ინგლისური ენის ფილოლოგიის მიმართულებაზე სწავლობს, გიდის მოკლევადიანი სასერტიფიკაციო კურსის მსმენლობა კიდევ ერთი პროფესიის დაუფლებაში დაეხმარა. „პროგრამა, თავისთავად, იმ გარკვეული საკვანძო უნარ-ჩვევების განვითარებაშიც დაეხმარა, რაც ზოგადად გიდს სჭირდება ისეთი ტურის დასაგეგმად, რომელიც რეგიონის განვითარებასა და პოპულარიზაციაზე იქნება მორგებული, ასევე, იმ უნარების განვითარებაშიც, რაც, ზოგადად, ადამიანს სჭირდება, რომ უფრო წარმატებული გახდეს. შემოიღია ჩამოვთვალო ზოგიერთი საკვანძო უნარები, რაც ამ პროგრამის ფარგლებში განმეორებდა – მაგალითად, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, პრეზენტაციის და ა.შ.

ინგლისურ ფილოლოგიაზე ვსწავლობ და ხშირად ვცდილობ ინგლისურენოვან ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარებას. სწორედ ერთ-ერთმა უცხოელმა მომანოდა ამ პროფესიის არჩევის იდეა, როცა მიხვდა, რომ ისურვებდა ჩემნაირი გიდის ყოლას. როცა ჩემს უნივერსიტეტში ამ მოკლევადიან პროგრამაზე მივსულიყავი, ძალიან გამიხარდა და მაშინვე გადავწყვიტე, მსმენელი ვავემდარევიყავი. დღეს კურსის დასრულების სერტიფიკატი მივიღე და ძალიან კმაყოფილი ვარ.“

სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიას ესწრებოდნენ: კურსდამთავრებულები ოთხივე რეგიონიდან, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი, USAID საქართველოს ეკონომი-

კური ზრდის ოფისის წარმომადგენელი მარინა ქუთათელაძე, USAID-ის პროგრამა „ზრდის“ ხელმძღვანელი ბაიან კინგი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირები, პარტნიორი პროფესიული კოლეჯებისა და ტურიზმის სფეროში მოქმედი პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მინისტრის მოადგილემ, თამარ ქიტიაშვილმა, პირველ რიგში, ამ შესაძლებლობისთვის მადლობა გადაუხადა ამერიკის მთავრობას და პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს, რომელიც, მისივე თქმით, ნებისმიერ პროექტს, რასაც კი ხელს მოკიდებს, წარმატებით ახორციელებს. რაც შეეხება კონკრეტულ პროექტს, თამარ ქიტიაშვილმა განაცხადა, რომ: „საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაზრდისთვის და, რაც მთავარია, იმ მომსახურების ხარისხის ზრდისთვის, რაც დღეს ტურიზმში გვაქვს, ამ პროექტის შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია. თვისობრივად განსხვავებული ახალი პროგრამები/კურსები გაჩნდა, რომლებიც, ერთი მხრივ, დაეხმარება ჩვენს მოქალაქეებს, ბევრად უფრო ხარისხიანი სერვისი შესთავაზონ ტურისტებს და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობენ ინოვაციური იდეების გენერირებასა და განვითარებას. დღეს ჩვენ დავინახეთ როგორი განსხვავებული ინოვაციური პროექტები შექმნეს სტუდენტებმა, ტურისტული მარშრუტების სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე ინოვაციურად დაინყეს აზროვნება, სწორედ ეს შესძენს დამატებით ღირებულებას ჩვენს ადამიანურ კაპიტალს და გაზრდის ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს.“

სასკოლო აქტივობა

არა ბულინგს!

სკოლა „თამარიონი“ ის ადგილია, სადაც ნაკლებად მსჯელობენ იმ თემაზე, რომელზედაც ახლა უნდა ვისაუბროთ. დამეთანხმებით, ეს ბედნიერებაა, რადგან დღეს იშვიათია სფერო, სადაც ძალადობის თემა არ არის აქტუალური. სამწუხაროდ, ძალიან ხშირია ძალადობის შემთხვევები ოჯახში, სკოლაში, სამსახურში, ქუჩაში... მოკლედ ყველგან, სადაც ადამიანს ხელი მიუწვდება. დღეს სიტყვა ძალადობა, ძირითადად, შეცვალა ტერმინმა – „ბულინგი“. ამ გამოწვევის შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ტერმინს. მთავარი ის საშიშროებაა, რაც ამ სიტყვის უკან ჩასაფრებულია და ანგრევს ბავშვების, მოზარდებისა და საერთოდ ყველა ასაკის ადამიანის ფსიქიკას.

ბულინგი, ძალადობა, დაშინება, ჩაგვრა – ეს სიტყვები ძალიან ხშირად გვესმის 21-ე საუკუნეში. განსაკუთრებით მოზარდთა ცხოვრებაში. ამას ალბათ განაპირობებს არაერთი მიზეზი.

თვითონ სიტყვა ბულინგი საზარლად იმის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ეს გრძობა ერთხელ მაინც განუცდია. ასეთ ადამიანებს გაღვიძების ემინიათ... ემინიათ, რომ ისევ კომარული დღე დადგება, როცა მათზე ფიზიკურ თუ ვერბალურ ძალადობას განახორციელებენ... და იწყება ჯოჯოხეთი... განსაცდელი, რომელსაც, სამწუხაროდ, ყველა ვერ უმკლავდება და, რომელიც ხშირად ფატალური შედეგებით სრულდება.

ეს არ არის საკითხი, რომელზედაც შეიძლება თვალი დავხუჭოთ, ნაფუყროთ. პირიქით, გავაგამოს ზარები უნდა ავტეხოთ! გავიგონოთ, დავინახოთ, მოვუსმინოთ... და რაც მთავარია, გადავარჩინოთ, რადგან ხვალ დაბულინგებული, ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები, შვილიშვილები არ აღმოჩნდნენ. ნურავის მიეცემთ უფლებას სხვების დაჩაგვრისა, სხვებზე ძალადობისა, რადგან ყველას აქვს უფლება, იყოს ისეთი, როგორიც არის! ნურავის დაეუნგრეთ სამყაროს, რომელიც აუშენებია, ნურავის ნავართმევთ მომავალს, რადგან ამის არანაირი უფლება არავის არა აქვს, გვახსოვდეს, ძალადობით მიყენებული ტრავმა მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძლება გაჰყვეს ადამიანს, როგორც ღრმა ჭრილობისგან დარჩენილი ნაიარვეი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სკოლაში ეს პრობლემა არ დგას, გადავწყვიტეთ, ბულინგთან დაკავშირებით, სერიოზული ღონისძიება ჩავატარებინა.

გაიმართა კვირეული – „არა ბულინგს!“. კვირეულს ხელმ-

ძღვანელობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ესთეტიკური აღზრდის კათედრები (სამოქალაქო სამართლის მასწავლებელი – თათია გურგენიძე, ფილოლოგი: ნინო განდელიძე, ხათუნა კაშია, ნატო ცერცვაძე, შორენა გაგაშვილი; სატვის მასწავლებელი – ფიქრია ტაბატაძე).

VI-დან XI-ის ჩათვლით, არ დარჩენილა კლასი, სადაც ამ თემაზე არ ჩატარებინათ გაკვეთილები (VI¹, VI², VI³, IX², VIII¹), არ განეხილათ ამ თემასთან დაკავშირებული პრობლემები, არ ეკამათათ, არ მოეძიებინათ ინფორმაციები. დაინერა არაერთი არგუმენტირებული ესეე, მოთხრობა, ჩანახატი; VIII კლასის მოსწავლეებმა შეგვისრულეს ნახატები. კლასებში მოეწყო ნამუშევრების გამოფენები, VIII¹ კლასმა კედლის გაზეთი მოამზადა; IX-X-XI კლასების მოსწავლეებს ვუჩვენეთ დიმიტრი კიკაბიძის ფილმი „ტბა“. ახალგაზრდებმა გააანალიზეს ნანახი და იმსჯელეს ფილმში ნამოჭრილ პრობლემებზე; სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს ვუჩვენეთ მოსწავლეების მიერ შექმნილი ვიდეორგოლები, მულტიმედის ნიმუშები, მოვანყვეთ ნანახი ფილმების განხილვა; გავეცანით მოსწავლეთა მიერ დანერგულ ესეებს, ჩანახატებს, მათგან საუკეთესოები ამოვარჩიეთ და ჟურნალის სახით გამოვეცით.

კვირეულის ბოლოს კი, შემაჯამებელი ღონისძიება ჩატარდა. მოსწავლეებმა გაგაცნეს გამოკითხვის შედეგები სკოლის მასშტაბით, ასევე, ბულინგის მსხვერპლთა სტატისტიკა, მსოფლიოსა და საქართველოს მასშტაბით; მოვისმინეთ პრეზენტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით; ნაგვიკითხეს ესეები, ჩანახატები, მოთხრობები... თემა იყო მძიმე და ტკივილიანი, ცრემლიანი, მაგრამ საქმიანი.

ღონისძიების ბოლოს შემოქმედებითი უნარით გამორჩეული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ, ასევე, კლასები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კვირეულში.

კიდევ ერთხელ მოვისმინეთ ბულინგის საშიშროების შესახებ, კიდევ ერთხელ ვიგრძენით მისი გესლი და შხამი და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ყველამ ერთად დავავტოვოთ და ხმა-მალა ვუთხრათ „არა ბულინგს!“.

ნინო განდელიძე

ქართული ენის და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი



ახლა კი, გვინდა გაგაცნოთ ამონარიდები კონკურსში გამარჯვებული თემებიდან თუ ესსეებიდან:

ძემა კოზმირიძე, XI კლასი

„გატეხილი სალამური“

„...ამდენი წლის მანძილზე დაგროვილი გაურკვეველი ნეგატივი კოკას მიმართ, ახლა აქ იყო ჩვენს წინ, უკვე ამოხეთქილი და უბედურებისკენ მიდრეკილი. დღემდე არ ვიცი, ჰქონდა თუ არა ამ ქმედებას კონკრეტული მიზეზი, რომელიც იქამდე წარმოჩნდა, სანამ მე ჩუბუბის ხმაზე ოთახიდან გამოვიდოდი, თუ მართლა შეიძლება განსხვავებული საბედისწერო აღმოჩნდეს და ადამიანს სიცოცხლის ფასად უჯდებოდეს, მაგრამ ვიცი, რომ კოკას ბოლო ფრაზა, მარტივი მიზეზი იყო ბიჭებისთვის საკუთარი სიძულვილის ერთხელ და სამუდამოდ ჩასახშობად, ამიტომ კოკას ცრემლიან თვალებს, გამტყდარ ხმასა და დამსხვრულ სალამურს წამებში მოჰყვა ნითელი ლაქა მის თეთრ პერანგზე, შიშისგან ყველა მიმართულებით გაქცეული ბიჭები და გაყინული მე.“

საზიზღარი მე, რომელმაც ვერაფერი შევძელი ამ მოვლენის შესაჩერებლად და, როგორც უმოქმედო მაყურებელი, მეც სველვად ვიქეცი, ამის გამო კოკა სწორედ მაშინ გამოესალმა სიცოცხლეს, როცა მისი სიყვარული დაიწყო. ამის ჩამდენები კი ისე გაქრნენ ადგილიდან, თითქოს უპატივებელი დანაშაული არ ჩაედინათ, თუმცა დამტოვეს მე, დასისხლიანებული კოკა და მისი სამუდამოდ დადუმებული, გატეხილი სალამური.“

ერთმანეთის მიმართ სიძულვილის წინააღმდეგ! არა ბულინგს!..“

ნინო ვადაჭორია, X კლასი

„ნენე, რომელმაც ფრენა გადაწყვიტა“

„...ყველა არსზე ერთი და იგივე ამბავი ტრიალებს, თუ როგორ გადახტა 15 წლის გოგო ფანჯრიდან. მოიცა... ეს ხომ ნენეს კორპუსია. ხმას ავუწიე და გაფაციცებული შევყურებდი ეკრანს. დავინახე, როგორ ანათებდა მინაზე დამბობილი ოქროსკულულა და მივხვდი, რომ ეს ნენე იყო. ენა ჩამივარდა, სისხლი გამეყინა, ვეღარ ვსუნთქავდი, უბრალოდ ვუყურებდი ეკრანს, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. ყველაფერი შავმა მოიცვა, მაგრამ მესმოდა, თუ როგორ კითხულობდნენ მის უკანასკნელ წუთებში დაწერილ წერილს. „გოგონა ბულინგის მსხვერპლი აღმოჩნდა და როგორც ჩანს, თვითმკვლელობის მიზეზიც ეს გახდა, ხოლო ბრალდებული ბ.გ. გადაყვანილია პოლიციაში დასაკითხად“ – ამბობდა ჟურნალისტი.“

ნენე... ნუთუ ის მზის სხივსაც შეეხო და უპოვა დასაცინი მიზეზი... ჩემო ციმციმა ვარსკვლავო, ნეტა უფრო დაკვირვებული ვყოფილიყავი, ნეტა თავიდანვე შემოქმედა. მე ვარ დანაშაული...“

შეიძლება ნენე ჩემთან აღარ არის, მაგრამ ჩემს გულში ყოველთვის იცხოვრებს გოგონა, რომელმაც ფრენა გადაწყვიტა.“



იურიდიული კონსულტაცია

Hüquqşünas məsləhəti

Anons edildiyi kimi, 2020-ci ildən etibarən kredit balların toplanılma sistemini „Müəllimlik peşəsini tənzimləyən qayda“ əvəz edəcəkdir. Maraqlıdır ki, bu normativ akt müəllimlər üçün hansı güzəştləri və öhdəlikləri nəzərdə tutur?

„Müəllimlik peşəsini tənzimləyən qaydaya əsasən“ peşəyə giriş, peşənin qorunub saxlanılması və irəliləyiş dəyişəcəkdir.

Qeyd etmək lazımdır ki, müəllimlər tərəfindən əldə edilmiş kredit ballar ləğv olunmayacaqdır, amma daxili mexanizmlərlə kreditlərin toplanılma sistemi olmayacaqdır. Məlum olduğu kimi, məktəbdə daxili qiymətləndirmə qrupu fəaliyyət göstərirdi və bu da müəllim tərəfindən həyata keçirilən fəallıqları qiymətləndirir və bunun əsasında kredit balları verirdi. Oxşar sistem mövcud olmayacaqdır. Yeni sistemə əsasən, müəllimlər kənar mexanizmlərlə kredit balları toplamaq imkanı verilir. Bu onu bildirir ki, bütün icbari fəallıqlardan keçmiş təcrübəçi müəllimlər hər iki imtahanı vermiş, 2 daxili dərş müşahidəsini keçmiş, 5 kredit bal toplamışlar və beş kreditli tədris qruplarını nailiyyətə verdikləri halda isə 19 kredit bala qədər kreditlərini tamamlaya və baş müəllim statusunu əldə edə bilərlər. Müəllim imtahanı verə bilmədiyi halda, tədris-modulları keçə, paralel olaraq, imtahanı verə və 19 kredit bal toplaya bilər. Daha aydınlıq gətirmək üçün açıqlayaq ki, kənar mexanizmləri tədris qrupları və imtahan təqdim edir.

Hər bir təcrübəçi müəllim tədris qrupunda qeydiyyatdan keçə bilərmi? Qeydiyyat zamanı yerlər məhdu olub olmayacaq ki? Müxtəlif fəallıqlarla 19 və daha çox kredit bal əldə edən, amma kompetensiyaları (hətta biri də) təsdiq olunmayan müəllimləri nə gözləyir?

Tədris qrupunda hər bir təcrübəçi müəllim qeydiyyatdan keçə bilər, o cümlədən, hələ imtahana çıxmamış müəllim də. 19 və daha çox kredit bal toplayan, amma həm peşəkarlıq bacarıqları, eləcə də fənn kompetensiyaları təsdiq olunmamış müəllimlərə gəldikdə isə, izah edirik ki, baş müəllim statusunu əldə etmək üçün hər iki kompetensiyanın təsdiqlənməsi vacib ön şəhətdir.

Beş kreditli tədris qrupu qeydiyyat fevralın 15-dən etibarən başlayacaqdır. Müəllimlər fənn kompetensiyası tədris qruplarından 3 kredit əldə edə biləcəklər, peşəkar bacarıqlar tədris qruplarından isə - 2 kredit. Müəllimlər tədris-modulları nailiyyətə keçdikləri halda, 1-dən 5-ə qədər kredit qazanmaq imkanına malik olacaqlar. Müəllimlər istənilən və lazımi kredit balın müvafiq tədris modulunu özləri seçə bilərlər.

İmtahanlarda 1,4, 7 kreditin əldə edilməsi imkanı saxlanılacaqdırmi?

Məlum olduğu kimi, təcrübəçi müəllimlər üçün yay imtahanlarında 1,4 və 7 kredit balın qazanılması imkanı yenə də qüvvədə olacaqdır.

Təcrübəçi və peşəyə daxil olan müəllimlər üçün nəzərdə tutulmuş kompetensiyanın təsdiq olunması imtahanında hər hansı bir yenilik varmı və nə vaxt keçiriləcəkdir?

Baş müəllim statusunun əldə edilməsi imtahanı yayda keçiriləcəkdir. Format və məzmun eyni qalacaq, dəyişiklik yalnız imtahan balının saxlanılmasına aiddir. Ötən sxemə əsasən, müəllim eyni fənn üzrə iki dəfə imtahana çıxdığı halda, onun əvvəlki nəticəsi ləğv olunurdu. Yeni tənzimləmələrə əsasən isə müəllimin ikinci dəfə imtahanı verdiyi halda, ötən imtahanın nəticəsi itməyəcəkdir. Ona imkan veriləcəkdir ki, əldə edilmiş nəticələrdən onun üçün ən yaxşı

nəticəni seçə bilsin.

Aparıcı və mentor müəllim statusunu qazanmaq üçün 2020-ci ildə imtahanlar keçiriləcəkmə və ya yox?

Aparıcı və mentor müəllim statusunu əldə etmək üçün nəzərdə tutulmuş imtahan bu il çətdirilməyəcəkdir, çünki müəllimin peşəkarlıq standartı dəyişməlidir. Yeni standartın layihəsi üzərində işlər davam edir və baxılma prosesindədir.

„Müəllimlik peşəsinin tənzimlənmə qaydası“ baş müəllimlər üçün hansı istisnaları təsis edir?

Bu il aparıcı müəllim statusunu əldə etmək istəyən baş müəllimlər üçün bir sıra güzəştlərə yol verilir. 15 kredit bal toplamış, o cümlədən, icbari fəallıqları tam həyata keçirmiş (2 model dərş və pedaqoji təcrübənin tədqiqi) və hər şeyi nailiyyətə təsdiqlənən baş müəllimlərə, istisna şəklində, sentyabr ayından dekabr ayı da daxil olmaqla kənar müşahidəni keçmək hüququ verilir ki, bunun nəticəsində də aparıcı statusunu əldə edə bilərlər. Tədqiqatlarında nöqsanlar tapılan baş müəllimlər nöqsanların düzəldilməsi üzərində işə başlaya bilərlər və ehtimal ki, onlara apreldən tədqiqatlarını yükləmək imkanı veriləcəkdir. Kimin tədqiqatı müsbət qiymətləndiriləcəksə, həmin müəllim sentyabrın dekabr qədər kənar müşahidənin qeydiyyatından keçə bilər və 2020-ci ilin sonuna qədər onlar üçün aparıcı müəllim statusunun verilmə prosesi davam edəcəkdir. Bu il baş müəllim statusunu əldə edən müəllimlər isə yeni tənzimləmələrlə statusu dəyişməlidirlər.

Axtarıcı müəllimliyə hansı səlahiyyətli şəxslər qeydiyyatdan keçə bilərlər?

Gürcüstan Təhsil, elm, mədəniyyət və idman nazirinin fərmanı ilə axtarıcı müəllimlik qeydiyyat prosedurları və axtarıcı müəllimlik dövrü qaydası təsdiq olundu.

Eləcə də fərmanda söhbət həmin şəxslərdən gedir, hansılar axtarıcı müəllimlik qruplarında qeydiyyatdan keçməyə səlahiyyətliyə bilərlər. Fərmanda deyildiyi kimi, axtarıcı müəllimliyə qeydiyyatdan keçməyə səlahiyyətli şəxslərdir:

1. 2023-cü ilə qədər ən azından bakalavr və ya buna bərabər tutulan akademik dərəcəsi olan və Milli tədris planının müvafiq fənni/fənn qrupu üzrə akademik dərəcəyə malik, eləcə də hərbi/idman peşə təhsili olan şəxs axtarıcı müəllim ola bilər.

2. Bu maddənin birinci bəndi ilə nəzərdə tutulmuş şəxslər ümumtəhsil müəssisəsində axtarıcı müəllimliyə başlayana qədər ümumtəhsil müəssisəsində tədris etmək istədikləri fənn üzrə imtahanı vermişdirlər.

3. 2018-2019-cu dərş ilinin əvvəli üçün ümumtəhsil müəssisəsində tədris edən və müəllimin peşəkar inkişafı və karyera irəliləyişi sxemində cəlb olunmamış şəxs axtarıcı müəllim hesab edilir.

Axtarıcı müəllim qrupunu nədən ibarətdir?

„Axtarıcı müəllimin qeydiyyatı və axtarıcı dövrünün keçid qaydası və axtarıcı müddətini təsdiqləyən sənədin nümunəsi və verilməsi qaydasının təsdiq edilməsi haqqında“ fərmana əsasən, axtarıcı müəllim qrupunu iki əsas istiqamətdə ibarətdir. Bunlardır: akademik kurs və pedaqoji təcrübə kursu. Bunlar da axtarıcı müəllim üçün həm nəzəri biliyin dərinləşdirilməsini, eləcə də ümumtəhsil müəssisəsində praktiki biliyin qəbulunu və təsirini nəzərdə tuturlar.

ინფორმაცია

შემაჯავებელი ფორუმი „ახალი სკოლის მოღვაწის“ ფარგლებში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე დგებუაძემ, ზესტაფონში „ახალი სკოლის მოღვაწის“ პროექტში ჩართული საჯარო სკოლების საქმიანობის შესახებ შემაჯავებელი ფორუმში გახსნა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. ღონისძიებაზე გამომსვლელთა შორის იყვნენ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გენადი მარგველაშვილი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გოგლიჩიძე.

ფორუმის ფარგლებში, პროექტში ჩართული 6 ადგილობრივი საჯარო სკოლის წარმომადგენლებმა 2019 წელს „ახალი სკოლის მოღვაწის“ დაწესებულებაში მიღწეული შედეგები შეაჯამეს და ერთმანეთს ამ მიმართულებით მიღებული გამოცდილება გაუზიარეს. მონაწილეებმა, ასევე, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნის, სასკოლო კულტურის განვითარების, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და კომპლექსური/პროექტული დაჯავებების საკითხები განიხილეს.

მინისტრის მოადგილემ სამინისტროს მიერ სკოლებში სასწავლო კულტურის განვითარების ხელშეწყობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად აუცილებელია თითოეული მოსწავლის ინტერესების იდენტიფიცირება და მათი პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე ზრუნვა. ეკატერინე დგებუაძის თქმით, მსგავსი ფორუმების ჩატარება მნიშვნელოვანია, რადგან „ახალი სკოლის მოღვაწის“ მიღწევებზე ყურადღების გამახვილებასთან ერთად, საჭიროა სკოლებში არსებული გამოწვევებისა და პროექტში ჩართული პედაგოგების რეკომენდაციების გათვალისწინება.

2024 წლამდე პროექტი საქართველოს ყველა რეგიონის სკოლებს დაფარავს. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში „ახალი

სკოლის მოღვაწის“ პროექტში, 2019 წლის მარტიდან, ჩართული არიან: ზესტაფონის №5, №6 და №7 საჯარო სკოლები, ხოლო 2019 წლის ოქტომბრიდან – ზესტაფონის №1, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურისა და სოფელ ფუთის საჯარო სკოლები.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია და ლილი ბრიტანეთის სახელმწიფო სანაოსნო სასწავლებელი „PORTSMOUTH COLLEGE“

ერთობლივ პროექტებს განახორციელებენ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ლილი ბრიტანეთის სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელს „Portsmouth College“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებში, მხარეები ერთობლივ პროექტებზე იმუშავებენ და სხვადასხვა გაცვლით პროგრამას განახორციელებენ. შესაბამის შეთანხმებას ხელი ბათუმში მოეწერა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მათა ხაჯიშვილი, ტრანსპორტის სააგენტოსა და ორგანიზაციის „English Book Education“ წარმომადგენლები. მხარეებმა სამუშაო შეხვედრაც გამართეს, რომლის დროსაც საუბარი შეეხო თანამშრომლობის დეტალებსა და სწავლების ხარისხის საერთაშორისო

რისო სტანდარტის დანერგვას.

შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და „Portsmouth College“-ს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა და ხაზი გაუსვა პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციას, რაც მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მისივე თქმით, ქართველ სტუდენტებს შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცემათ, მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება.

ქართულ და ბრიტანულ სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის შესახებ გადამწყვეტილება დიდ ბრიტანეთში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის „Portsmouth College“-ის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს იქნა მიღებული. აღსანიშნავია, რომ „Portsmouth College“ დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელია, რომელიც ცნობილია მაღალტექნოლოგიური გარემოთი და მისი კურსდამთავრებულები მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან.



სამოღალეო გაკვეთილი

გთავაზობთ სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალგათის №1 საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის უფროსი მასწავლებლის, აიდა ორუცოვას მიერ ჩატარებულ გაკვეთილს



DƏRS PLANI

Fenn: Gürcü dili
Müəllim: Aida Orucova.
Məktəb və tarix: Algeti №1 nomralı ictimai məktəbi.
Sinif: VII
Şagirdlərin sayı: 19 şagird, XTEŞ – şagird sinifdə yoxdur.
Vaxt: 40 deq.

Dərsin adı: „YENİ İL NAĞILI“
Əvvəlki bilik: Şagird oxuduğu mətni qavrayır və başa düşür,mətni kitabdan oxuyublar,yeni sözlərlə artıq tanış olublar və yeni sözləri aktiv istifadə etməyi bacarırlar.

Dərsin məqsədi: şagirdlər mətni oxuyub qavrayacaqlar və yeni oyrəndikləri sozləri istifadə edə biləcəklər.

Milli tədris planının nəticələri:

ქ.მ.ვ.3. მოსწავლეს შეუძლია შემეცნებითი ხასიათის მცირე ზომის ტექსტის გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს თემას;
• ამოიცნობს და მონიშნავს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., რამდენ ნელს ცხოვრობს სპილო, რითი იკვებება, სად ბინადრობს ჯიხვი, როგორი კონტინენტი ანტარქტიდა და სხვა).

კითხვა:

ქ.მ.ვ.9. მოსწავლეს შეუძლია ილუსტრირებული შემეცნებითი ხასიათის ტექსტების წაკითხვა და გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკავშირებს სათაურს ტექსტის შინაარსთან;
• ამოიცნობს ილუსტრაციების ქვეშ მოცემული წარწერების შინაარსს;
• ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას.

ქ.მ.ვ.12. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გაგების გასაადვილებლად იშვებებს არასიტყვიერ ელემენტებს (ტიპოგრაფიულ მინიშნებებს/მსხვილი, გადახრილი შრიფტი, ხაზგასმა, სასენი ნიშნები, ილუსტრაცია, ლოგო და სხვა);
• ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით, მშობლიურ ენაზე გამოთქვამს ვარაუდებს ტექსტის შინაარსის შესახებ.

წერა:

ქ.მ.ვ.15. მოსწავლეს შეუძლია კორესპონდენციის მარტივი ერთი წერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ა) წერს ღია ბარათს.
• იცავს კორესპონდენციის ფორმალურ მხარეს (მიმართვა, ხელმოწერა, თარიღი);
• აყალიბებს კორესპონდენციის მიზანს (მილოცვა, ამბის შეტყობინება, დაპატიჟება);
• ადრესატის ვინაობის გათვალისწინებით, შეარჩევს მიმართვისა და მისალმება/გამომშვიდობების სათანადო ფორმულებს.

ლაპარაკი:

ქ.მ.ვ.20. მოსწავლეს გამოუმუშავებელი აქვს მეტყველებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტექსტების წარმოქმნისას იცავს შესაბამის ინტონაციებს, რიტმებს;
• ქართულ ენაზე მიმართავს მასწავლებელს, კლასელებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ მარტივ პრობლემებთან დაკავშირებით.

ქ.მ.ვ.21. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სვამს/პასუხობს კითხვებს კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით;
• სვამს/პასუხობს მარტივ კითხვებს მისთვის ნაცნობი თემების გარშემო (მაგ., არდადეგები, საცხოვრებელი ადგილი, მეგობრები, საყვარელი დღესასწაული და სხვა);
• პასუხობს ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ მარტივ კითხვებს.

Table with 6 columns: FƏALLIQ, METOD, SİNİFİN TƏŞKİLİ, RESSURLAR, VAXT, FƏALLIQIN ƏLDƏ EDECƏYİ NETİCƏLLƏR. It details lesson activities like 'Müəllim şagirdlə ri salamlayır...' and 'Şagirdlər nağıldan bir parça oxuyub...'.

Dərsin sonunda əldə ediləsi nəticə: şagirdlər fərdi işləyib,verilmiş tapşırıqları yerinə yetirəcəklər. Qiymətləndirmə: Analitik rubrika.

Table with 5 columns: KRITERİLƏR, QEYRI KAFI, KAFI, YAXŞI, ÇOX YAXŞI. It lists criteria for student performance such as 'İştirak ve aktivlik' and 'Şagird müəllimə qulaq asır...'.

ინფორმაცია

ქართული საბანანათლებლო მოღვაწის პირველი მასშტაბური ექსპორტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მიხეილ ბატიაშვილი და მასპინძლობის მართვის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, მანანა უგულავა...

მხარეებს შორის, აღნიშნულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, მემორანდუმს 10 თებერვალს, ნურ-სულთანში, მოეწერა ხელი. შეთანხმება, ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების საშუალებით, ყაზახეთში ერთობლივ საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობას, ასევე, ქართველი და საერთაშორისო ლექტორების მიერ სასწავლო პროცესების წარმართვას გულისხმობს.

ქართული საგანმანათლებლო მოდელით ყაზახეთის მხარე მას მერე დაინტერესდა, რაც BTU-სა და მასპინძლობის მართვის ინსტიტუტის ძალისხმევით, მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო შედეგად აღიარებული სკოლა, უპირობო ლიდერი ტურიზმისა და მასპინძლობის მიმართულებით – Les Roches საქართველოში შემოვიდა და BTU-ს ბაზაზე დაიწყო ფუნქციონირება. საქართველოში Les Roches პირველი წარმატებული კურსდამთავრებულები უკვე ჰყავს და ამჟამად, საერთაშორისო სასტუმროების მართვის 2021 წლის სადიპლომო პროგრამაზე, სტუდენტთა მეორე ნაკადის სწავლება მიმდინარეობს.

ასევე, ქართული მოდელის ექსპორტის საფუძველი გახდა მნიშვნელოვანი შეთანხმება UNWTO-სთან მსოფლიო ტურიზმის აკადემიის საერთაშორისო ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ქართული საგანმანათლებლო მოდელით დაინტერესება სხვადასხვა ქვეყანამ გამოხატა. ექსპორტის პირველი ქვეყანა ყაზახეთია და თანამშრომლობის ასეთი პრეცედენტი უკვე შედგა.

ქართველ მოსწავლეთა ნამუშევარი ტალინში ყველაზე ინოვაციურ გამოგონებად აღიარეს

თბილისის №175 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ შეხანძრვისთვის შექმნილი „ჭკვიანმა ჩაფხუტმა“ ესტონეთის საერთაშორისო მოსწავლეთა კომპანიების გამოფენა-გაცემაზე ყველაზე ინოვაციური მოსწავლეთა კომპანიის წარმომადგენელი გაიმარჯვა. „ჭკვიანი ჩაფხუტი“ მეხანძრეებს დაკავშირებული ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გამოსვლაში ეხმარება – ჩაფხუტი წინააღმდეგადაა აღიქვამს, მეხანძრეს წინასწარ აფრთხილებს და შესაბამისად, მათ დაშვება-სიკვდილიანობას ამცირებს.

ესტონეთის საერთაშორისო მოსწავლეთა კომპანიების გამოფენა-გაცემაზე, ტალინში, 5-11 თებერვალს გაიმართა და ფინეთის, შვედეთის, ინგლისისა და ლატვიის მოსწავლეთა კომპანიებთან ერთად, მასში თბილისის №175 და ბათუმის №16 საჯარო სკოლები მონაწილეობდნენ, მათ საქართველოს სახელით საკუთარი პროდუქტი წარადგინეს.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მოსწავლეები უცხოეთში არჩევითი საგნის – მენარმეობის საფუძვლების ფარგლებში იმყოფებიან, რომელსაც, საქართველოს მასშტაბით, 251 საჯარო სკოლის 6500-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს. „მოსწავლეთა კომპანიები“ სწორედ სასკოლო არჩევითი საგნის „მენარმეობის საფუძვლების“ ფარგლებში ყალიბდება. საგნის შესწავლაში სკოლებს ხელს უწყობს Junior Achievement Georgia, აშშ-ს განვითარების სააგენტოს პროექტით „სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში“. გარდა იმისა, რომ ორგანიზაცია მოსწავლეებს სასწავლო მასალებით უზრუნველყოფს, იმედგეროულად ზრუნავს პედაგოგთა გადამზადებაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სწორედ მენარმეობის ფარგლებში, „Junior Achievement“-ის ორგანიზებით, ყოველწლიურად, იმართება შეჯიბრებები.

მათ შორისაა ესტონეთის მოსწავლეთა კომპანიების ყოველწლიური საერთაშორისო შეჯიბრი, რომელშიც ევროპის წევრი ქვეყნები მონაწილეობენ. JA Estonia და JA Georgia, საქართველო-ესტონეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, მხარს უჭერენ მოსწავლეთა საერთაშორისო კონკურსებში ჩაბმას. მიმდინარე პროექტის მიზანია საქართველოში „სამეწარმეო განათლების პოპულარიზაცია, მენარმეობის სწავლების ევროპული მეთოდოლოგიის გაზიარება და საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ხელშეწყობა“.

№175 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კომპანიამ „Helmet vision“ მეხანძრეთათვის „ჭკვიანი ჩაფხუტი“ შექმნა, ხოლო ბათუმის №16 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კომპანიამ „The smell of thread“ – ხელნაკეთი ნივთები, ნაქსოვი ცხოველთა გამოსახულებები და ეკოლოგიურად ბუნებრივი პროდუქტი, სხვადასხვა არომატიზატორით.

Junior Achievement Georgia ამჟამად ორგანიზებას უწევს კონკურსს „საქართველოს საუკეთესო მოსწავლეთა კომპანია“, რომელიც 2020 წლის 29 მარტს გაიმართება, გამარჯვებული გუნდი პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.



სამოქალაქო გაკვეთილი

„დიდი და პატარა ტალღა“ დონორ ბიზნესის მიხედვით

დალი თურმანიძე
სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის
ქოგულეთის მუნიციპალიტეტის
სოფელ ცინისძირის საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასების მასწავლებელი



სამოქალაქო გაკვეთილის ტიპი –
გამჭოლი კომპეტენცია „სწავლის სწავლა“
შეზღუდული საკლასო ოთახის მოდელი

Table with 2 columns: Topic and Content. Topics include: გაკვეთილის თემა, საგანი, მასწავლებელი, სწავლების საფეხური/კლასი, მოსწავლეთა პროფილი, სასწავლო მიზნები, მოსალოდნელი შედეგები, ორგანიზების ფორმა, წინარე ცოდნა, სასწავლო რესურსი, გაკვეთილის მსვლელობა.

Table with 2 columns: Topic and Content. Topics include: სიტყვების სწავლება, აპტივობა 3-5 წელი, აპტივობა 4-5 წელი, რეფლექსია, აპტივობა 5-5 წელი, შეფასება, საშინაო დავალება.

გაკვეთილის რესურსი:

- 1. აპტივობა – „სამი რატომ?“
1. ივარაუდე, რატომ დაარქვა ავტორმა ეს სათაური?
2. დაასახელე მთავარი პერსონაჟი და ახსენი რატომ არის ეს პერსონაჟი მთავარი?
3. რა თვისებებით ჰგავხარ ამ პერსონაჟს? რატომ?
2. აპტივობა – „სიტყვის პირამიდა“
ს ი ტ ყ ვ ვ ა
გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა
წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს შ ე დ გ ე ნ ა
3. აპტივობა – გრამატიკის სამყაროში
1. ამოიწერეთ საგნის აღმნიშვნელი 3 სახელი:
.....
2. ამოიწერეთ მოქმედების აღმნიშვნელი 3 სიტყვა:
.....
4. აპტივობა – „შურნალისტიკის კითხვები“
დ ი ს კ უ ს ი ა
• რა იყო ტექსტის მთავარი იდეა და ძირითადი სათქმელი?
• რატომ ბაძავდა პატარა ტალღა დიდს?
• რა დაიჩემა ერთხელ დიდმა ტალღამ?
• რატომ დალონდა პატარა ტალღა?
• რა მოიფიქრა პატარა ტალღამ?
• როგორ ფიქრობთ, რომ არა პატარა ტალღა, თუ გაჩნდებოდა ტბა მთის იქით?
• რა არის არხი? სად გინახავთ არხი?
• გვიამბე თქმულება, როგორ გაჩენილა ტბა ერთი მთის იქით?
5. აპტივობა – „ყველაზე მნიშვნელოვანი“
1. ამ მოთხრობიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ
2. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ
„პარბიტი წერა“
3 ჯგუფი – ტალღების დახასიათება
დაასველებდა, პატარა ტალღას, დიდი ტალღა, მეგობარს
მოთხრობის მთავარი პერსონაჟი არის ძალიან უყვარდა დიდი ტალღა. დიდი ტალღა დამსვენებლებს თავიდან ბოლომდე პატარა ტალღა არხში გაძვრა და შეუერთდა
2 ჯგუფი – პრობლემა და მისი გადაჭრა
შეუერთდა მეგობარს, დაიჩემა, გადავხტეთ, გადახტა
ერთხელ, იცი რა მოხდა? დიდმა ტალღამ მთის იქით უნდა გამოე-ქანა, უფრო დიდ ზვირთად იქცა, და მართლაც ბოლოს პატარა არხი იპოვა, იმ არხში გაძვრა და
1 ჯგუფი – „რ ჩ ე ვ ა“
მეთრეკლასელებს, დაილუპება, ტალღას, პატარა, მიატოვო
„დიდი ტალღავ, ნუ მიატოვებ პატარა ის შენი ერთგული მეგობა-რია. მეგობრის გარეშე პატარა ტალღა! მოეფერე პატარა ტალღას და არ არასოდეს!
გთხოვ, მოგვისმინე ჩვენ,

სამოღლო გაკვეთილი

რეზიუმე

გამჭოლი კომპეტენციის ერთ-ერთი მიმართულების – სწავლის სწავლა თემატიკით გაკვეთილის ჩატარების არჩევანი განაპირობებს დაწყებითი საფეხურის განათლების სისტემის იმ მთავარმა საზრუნავმა, რომელიც გვახდებულებს, ისეთი ცოდნა და უნარ-ჩვევები მიეცეთ მოსწავლეს, რომლებიც გამოადგებათ სასწავლო პროცესში საგნობრივი ცოდნის ინტეგრირებასა და გაგება-გააზრებაში. დასახელებული კომპეტენციის გაკვეთილი ჩავატარებ შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელის ფარგლებში, რადგან ამ კომპეტენციის მიზნის შესაბამისად, მოსწავლეს აქვს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი, ხოლო მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე. აქედან გამომდინარე დავებმარე მოსწავლეებს იმ ფაქტებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომელმაც ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის მსვლელობას.

ჩემ მიერ გაკვეთილის თემად შერჩეული დონალდ ბისეტის „პატარა და დიდი ტალღა“ სწორედ რომ მეორეკლასელთა გაგება-გააზრებაზეა ორიენტირებული, მრავალმხრივ უნარს უვითარებს მათ – ნაკითხულ ინფორმაციას აკავშირებენ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და პრაქტიკასთან. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები უფრო მეტად ინტერესდებიან ცხოვრების ამსახველი თემებით, კარგად მსჯელობენ ნამოჭრილ პრობლემებზე და, თავიანთი გამოცდილებითა და რეალურ ცხოვრებაზე დაკვირვებით, გამოაქვთ პრობლემის გადაწყვეტის სწორი გზა. ამიტომაც, ვფიქრობ, ამ ასაკის მოსწავლეებთან ხშირად უნდა ჩავატაროთ ამ ტიპის გაკვეთილები.

გაკვეთილზე დამსწრე კოლეგებმა – შეფასების ჯგუფის წევრებმა დაინახეს, როგორ შეიძლება ჩართო კლასი მაქსიმალურად საგაკვეთილო პროცესში სწორად შერჩეული საგაკვეთილო თემით, მიზანმიმართულად დაგეგმილი გაკვეთილის გეგმით, შედეგზე გამსვლელი აქტივობებითა და ორგანიზების ფორმებით, რამდენად ეფექტურად შეიძლება გამოიყენო მოსწავლეთა ინტერესები და მოტივაცია მიზნის საუკეთესოდ მიღწევაში.

ჩემი აზრით, გაკვეთილმა დასახულ მიზანს სრულყოფილად მიაღწია, მოსწავლეებმა წაი-

კითხეს (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) და გაიაზრეს ტექსტი, უყურეს ვიდეოს; დაეფიქრებინათ ლექსიკურ ერთეულებს და მათი გამოყენებით შეძლეს წინადადებების შედგენა; დააკავშირეს მოსმენილ ტექსტში ასახული ამბავი პირად გამოცდილებასთან; პერსონაჟის დასახასიათებლად შეძლეს ტექსტიდან სათანადო არგუმენტის მოყვანა. მიზნის შესაბამისად განუვითარდათ აზროვნებისა და მეტყველების უნარ-ჩვევები, საკუთარი აზრის გამოთქმისა და დასაბუთების უნარი, განიმტკიცეს კოგნიტიურ სქემებზე მუშაობის უნარი, ჩამოუყალიბდათ ინდივიდუალურად, წყვილურად და ჯგუფურად მუშაობის უნარ-ჩვევები.

გაკვეთილზე გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა დროულად და სრულყოფილად განხორციელდა, რადგან დროის მენეჯმენტი მქონდა სწორად გათვლილი. შერჩეული აქტივობები საუკეთესოდ უწყობდა ხელს კლასის ორგანიზების ფორმებს – წყვილური, ინდივიდუალური და ჯგუფური. აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა ოპერატიულად ხდებოდა. მაქსიმალური ჩართულობა და აქტიურობა იყო მოსწავლეთა მხრიდან. სარეზერვო დროისთვის გათვალისწინებული დავალებები ბარათებზე მქონდა გამზადებული, მათი გამოყენებაც დამჭირდა ჯგუფური მუშაობის დროს, ორ ჯგუფს დამატებით მივეცი ახალი დავალება.

ფიქრობ, მთლიანად გაკვეთილი იყო წარმატებული, დინამიური და საინტერესო (ასეთი შეფასება მომცა შეფასების ჯგუფის თავმჯდომარემ და შეფასების ჯგუფის წევრებმაც), მეტად წარმატებულად შეიძლება გამოიყენოს გაკვეთილის მეორე (ტექსტზე მუშაობა) ფაზა.

დაკვირვების საფუძველზე ვასკენი, რომ საკმარისად არ გამოვიყენე წინარე ცოდნის გასააქტიურებელი აქტივობები. მომავალში, მსგავსი ტიპის გაკვეთილების დაგეგმვის დროს, აუცილებლად გავითვალისწინებ და გაკვეთილზე გამოვიყენებ წინარე ცოდნის გასააქტიურებელ მრავალფეროვან აქტივობებს.

გაკვეთილის მესამე ფაზაში დაგეგმილმა აქტივობებმა – ჯგუფებში განსხვავებული დავალებების შესრულებამ (სადაც ჩანდა გრამატიკული მასალის ცოდნის რეალიზაცია) ერთგვარად შეაჯამა გაკვეთილი. ეს იყო საუკეთესო ფინალი.

თსუ - 102

„ვახტანგ ლამბაშიძის ალბომის“ პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, „ვახტანგ ლამბაშიძის ალბომის“ პრეზენტაცია გაიმართა, ასევე, გაიხსნა გამოფენა „ვახტანგ ლამბაშიძის ალბომის პერსონაჟები“. პრეზენტაციაზე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი, **სალომე ზურაბიშვილი** ესწრებოდა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ნუნუ მიტკევიჩმა** საზოგადოებას სიტყვით მიმართა და წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის ისეთი მაგალითების შენარჩუნება და გადაცემა, რომლებიც ქვეყნის განვითარებისათვის შეტანილი უდიდეს წვლილს წარმოაჩენს. ჩემთვის, როგორც ემიგრანტი ოჯახის მემკვიდრე, თაობის წარმომადგენლისათვის, ძალიან ემოციურია ის ფაქტი, რომ ვახტანგ ლამბაშიძე უსასყიდლოდ კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მომავალი თაობების განათლებაზე ზრუნავდა,“ – განაცხადა მინისტრის მოადგილემ და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა წიგნის გამომცემლებს უნიკალური მასალების შეკრებისათვის.

„ლამბაშიძეების ოჯახთან დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია. ისინი უნივერსიტეტის პირველი პროფესორები გახლდნენ, ხოლო ქალიშვილი იყო პირველი სტუდენტები, რომელზეც გაიცა უნივერსიტეტის პირველი სტუდენტობის სანატორიუმ „პატარა ცემის“ წიგნი იმდროინდელი ინტელექტუალური საზოგადოების წარმომადგენელთა ჩანაწერების წარმოდგენილი, მათ შორის, ერთ-ერთი პირველი აკაკი წერეთლის ლექსი. გამოცემა უნიკალურია, რითაც მომავალი თაობა გაეცნობა საუკუნისწინანდელ ეპოქას,“ – აღნიშნა თსუ-ს რექტორმა, **გიორგი შარვაშიძემ**.

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ვახტანგ ლამბაშიძის საქართველოში ყოფნისა და ემიგრაციაში მოღვაწეობის პერიოდზე ისაუბრა. მისი თქმით, ლამბაშიძეების გამოფენა უნივერსიტეტისგან შეუძლებელია. „ეს ოჯახი გამორჩეული იყო საქართველოში ექიმ ლამბაშიძის მოღვაწეობით – საუკუნის წინ ვახტანგ ლამბაშიძემ დაუდო საფუძველი კურორტს „პატარა ცემი“. მას ჰქონდა მედიცინაზე ევროპული ხედვა. მისი ოჯახი გამორჩეული იყო საფრანგეთის ქართულ ემიგრაციაშიც. მე გავიზარდე ვახტანგ ლამბაშიძის შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. ჩვენი ოჯახები ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. მათ ოჯახში ქართული ემიგრაცია-

ის მნიშვნელოვანი შეკრებები იმართებოდა, რომლის ირგვლივაც ცოცხლობდა ემიგრაცია. ვახტანგ ლამბაშიძე არ მივხნავდა ქართველობას და საქართველოს მომავალს ევროპისგან. სწორედ ეს სულია ამ წიგნში გადმოტანილი,“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

წიგნი „ვახტანგ ლამბაშიძის ალბომი“ გამოქვეყნებულია, ცნობილ ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა მიერ, სანატორიუმ „პატარა ცემის“ შთაბეჭდილებათა წიგნი გაკვეთილი უნიკალური ჩანაწერების (1904-1946წწ.) ფოტოასლები. მათთან ერთად ბეჭდური ვერსიები, კომენტარები და სიძიებლები. წიგნი, აგრეთვე, დაბეჭდილია რამდენიმე ჩანახატი, მათ შორის, ზიგმუნტ ვალიძევის „ცემის პეიზაჟი“ და პოიარკოვის „ვახტანგ ლამბაშიძის პორტრეტი.“

საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და იუნესკოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის საგანგებო და სრულუფლებიანი დელეგაციის ხელმძღვანელმა, ვახტანგ ლამბაშიძის „პატარა ცემის“ ჩანაწერების აღმოჩენის ისტორიას ასე იხსენებს: „ვახტანგ ლამბაშიძის შვილიშვილის, ქალბატონმა ნათელა ნიკოლაძე-ვილკურის პირად არქივში ვნახე მოგონებების ეს წიგნი, რომელიც რელიკვიად ჰქონდათ შენახული. ოჯახი დავარწმუნე, რომ წიგნი იქნებოდა მნიშვნელოვანი შენახული საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისთვის. ქალბატონმა ნათელამ გარკვეული პერიოდით გვათხოვა ეს წიგნი, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამოცემაზე მუშაობის დასაწყებად. ვახტანგ ლამბაშიძე პირველი რესპუბლიკის დასრულების შემდეგ, ემიგრაციაში არჩეული იყო ქართული სათვისტომოს თავმჯდომარედ. იგი უფასოდ მკურნალობდა იქაურ ქართველებს, რომლებსაც ფინანსური პრობლემები ჰქონდათ. მათ შორის, მკურნალობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილსაც,“ – განაცხადა გოჩა ჯავახიშვილმა.

წიგნის შემდგენლები თსუ-ს ქართული ემიგრაციის მუზეუმის დირექტორი **რუსუდან კობახიძე** და ფილოლოგიის დოქტორი **ჯულიეტა გაბოძე** არიან.

„წიგნი გაცოცხლდა მე-19-20 საუკუნეების პირველი მეოთხედის რეალობა, გაცოცხლდნენ ის ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ვახტანგ ლამბაშიძე გახლდათ ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე, რომელსაც ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეა, ჯერ კიდევ, 1916 წელს ჰქონდა პეტრე მელიქიშვილთან ერთად,“ – აღნიშნა რუსუდან კობახიძემ. ჯულიეტა გაბოძის თქმით, ვახ-



ტანგ ლამბაშიძის მოგონებების წიგნის პირველი ჩანაწერი ეკუთვნის აკაკი წერეთელს, წიგნი ასევე შევსვდებით ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მიხაკო წერეთლის, ალექსანდრე აბაშელის ჩანაწერებს. წიგნი თავი მოიყარა 140 ქართველი და უცხოელი ცნობილი ადამიანის ჩანაწერებზე, ავტოგრაფებზე. გამოცემა არის სამენოვანი – ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენაზე. „ფიქრობთ რომ ყველანაირად ავასრულებ ბატონი ვახტანგის ოცნება, რადგან ის „ოცნებით წარმოსადგენს“ უნდობდა წიგნის გამოცემას, 116 წლის შემდეგ ეს ოცნება ახდა, ზუსტად ბლოკნოტის ფოტოტიპურად გამოვეცით წიგნი,“ – აღნიშნა ჯულიეტა გაბოძემ.

წიგნი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისა და თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 102 წლისთავთან დაკავშირებით, გაიმართა ასევე წიგნის „უნივერსიტეტი“ მეხუთე შევსებული გამოცემის პრეზენტაცია, რომელშიც მოთხრობილია კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტის საუკუნეობრივი ისტორია დაარსებიდან დღემდე. ალბომში გამოყენებულია უნიკალური ფოტო და დოკუმენტური მასალა, ავტორი და შემდგენელია **ზურაბ გაიპარაშვილი**.

ლონისძიებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნუნუ მიტკევიჩი დაესწრო. მან საზოგადოებას სიტყვით მიმართა და უნივერსიტეტის იუბილე მიულოცა, მადლობა გადაუხადა დარბაზში მყოფ უნივერსიტეტის დამფუძნებლების შთამომავლებსა და სამეცნიერო საზოგადოებას, რომელთაც ეს 100-წლიანი ისტორია შექმნეს.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უდიდესი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში. „დაარსების დღიდან, მას დაეკისრა არა მხოლოდ სასწავლო, არამედ სამეცნიერო მისია, რაც საზოგადოების განვითარების ფუნდამენტს წარმოადგენს. უნივერსიტეტს დღემდე უჭირავს მაღალი თამასა სამეცნიერო მიმართულებით, რაც საერთაშორისო რეიტინგებით დასტურდება.“

მოამზადა ლალი თვალაბიშვილმა



გამოსვლით


საკუთარი ქსევის კონტროლის უნარის განვითარება

საკუთარი ქმედებისადმი ყურადღების მიპყრობა და კონტროლი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. დავფიქრდით იმაზე, თუ მე, როგორც კლასის დამრიგებელი, რისი გაცემები შემიძლია ამ მიმართულებით. უპირველესად, გავცანი წმინდა მამების შეხედულებებს; საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უნმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ქადაგებებში განფენილ რჩევებში-დარიგებებში, რის საფუძველზეც ჩამოვყალიბებ განსახორციელებელი საქმიანობის მიზანს: დავეხმარო მოსწავლეებს განავითარონ ზნეობრივი თვითცნობიერება, ყურადღების საგანად აქციონ თავისივე ადამიანური ქცევა, ისწავლონ საკუთარი თავის, საკუთარი ყოფიერების შესახებ მსჯელობა, საკუთარი ღირსებებისა და ნაკლის შეფასება და სათანადო დასკვნის გაკეთება. მოგახსენებთ, რომ რაიმეს შეგრძნებაში არის ცნობიერება, ხოლო განსაკუთრებული წარმოდგენა, ანუ აზრი საკუთარი თავის შესახებ, არის ცნობიერება, რომელსაც განვიხილავ „ზნეობრივი ცნობიერების“ კუთხით, ანუ ადამიანური ქცევა, რომელიც სიკეთეს, ტრადიციების ეროვნულ მახასიათებლებს ექვემდებარება.

აქტივობა I

უპირველესად, შევეცადე, მოსწავლეებს გავეგოთ თვითცნობიერების არსი. მოკლე ინფორმაციისათვის, წარმოვადგინე სქემას, რის შესახებაც სადამრიგებლო საათის შეხვედრაზე იყო საუბარი.

გვექონდა მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა განსაზღვრავს ქცევით წარმოშობილ სიამოვნებასა თუ უსიამოვნებას.



აქტივობა II

მომდევნო სადამრიგებლო საათის თემაც განისაზღვრა – „სინდისი“. წარმოვადგინე სადამრიგებლო საათის სცენარს:

ლმერთმა იმითაც აჩვენა თავისი სიყვარული ადამის მოდგმისადმი, რომ ყოველ ჩვენგანში განამტკიცა მიუკერძოებელი მსაჯული სინდისი, რომელიც დებს მკაცრ ზღვარს სიკეთესა და ბოროტებას შორის. სწორედ ის გვაძლავს არ უგულვებლვყოთ ღვთის მცნებანი, არ დავაბრკოლოთ მოყვასი არც სიტყვით, არც საქმით, არც გონებით; სახმართა მიმართ სინდისი გვაძლავს არ მივიტოვოთ ნაპოვნი, არ ვეცადოთ სხვისის დასაკუთრებას.

მშვიდობა მაშინ აქვს კაცსა, როდესაც მას თავისი ჭკუა და სინდისი არაფერში არ ამტყუანებს და არ არცხვენს.

მოსწავლეებს მივანოვებთ სამუშაო ფურცელს ინსტრუქციით: გთხოვთ, აირჩიოთ ერთ-ერთი შეგონება და გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება.

შეგონებანი (წმიდა მამა აბა დოროთეს მიხედვით)

„ოდეს დაბადა ღმერთმა კაცი, დასთესა მის შორის წმიდა რაიმე გულის სიტყვა მხურვალე და განათლებული, მსგავსი ნაკვერცხალისა, რომელი განანათლებს გონებასა და უჩვენებს ბოროტსა კეთილისაგან – ამისთვის ეწოდების სინდისი“.

„გამოაბრწყინა, აღადგინა და განაცხოველა დათრგუნვილი იგი ნაკვერცხალი, რომელ არს სინდისი“.

„ვისწრაფოთ ძმანო, დაცვად სინდისისა ჩვენისა“.

შემდეგ გაიმართა დიალოგი.

- 1. რატომ განამტკიცა ღმერთმა ადამიანში მიუკერძოებელი მსაჯული – სინდისი?
2. რას ნიშნავს სინდისის დაცვა?
3. როგორ გაითავისებ შეგონება „სინდისი მკაცრ ზღვარს სდებს სიკეთესა და ბოროტებას შორის?
4. შესწავლილი მასალა რას მატებს თქვენს საქმიანობას? საქციელს?

აქტივობა III

საკუთარი ქცევის კონტროლის უნარის განვითარებას ხელს უწყობს გადანყვეტილების მიღება და მისი შედეგი. ეს გვესახება ურთულეს პრობლემადაც. ცხადია, ერთი და ორი აქტივობა ამ პრობლემას ვერ გადაჭრის, მაგრამ დასაფიქრებლად და საორიენტაციოდ საჭიროა.

შემოგთავაზებთ სადამრიგებლო საათის „გადანყვეტილების მიღების“ სცენარის მოკლე ჩანაწერს.

მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ გადანყვეტილების მიღება წარმოადგენს შექმნილ ვითარებაში მოქმედების განსაზღვრას, რამაც შეიძლება უკეთესი ან უარესი შედეგი გამოიღოს. შესაძენი უნარ-ჩვევები: დაკვირვება, ყურადღების კონცენტრაცია, წინდახედულობა, შედეგის გათვლა, ინფორმაციის გადაამუშავება, ჯგუფში თანამშრომლობა.

სტრუქტურა: როლით თამაში, სიტუაციის გარჩევა, დისკუსია.

როლით თამაშისათვის შერჩეული მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, ქმნიან სიტუაციას, რომელიც საჭიროებს გადანყვეტილების მიღებას, შესაბამის მოქმედებას ან განკარგულება-ბრძანების გაცემას. დამკვირვებელი, 3-4 მოსწავლე, აფასებს წარმოდგენილს. მათ უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოება: გადანყვეტილების შესაბამისობა შექმნილ სიტუაციასთან, მოქმედების რეალობა და ზომიერება, რამდენად შეიძლება მისი შესრულება, განკარგულება-ბრძანების გაცემის მიზანშეწონილობა და ეფექტი.

დისკუსია გაიმართა პრობლემაზე – რა არის საჭირო გადანყვეტილების მიღებისათვის? ერთპიროვნული გადანყვეტილების მიღება უფრო მართებულია თუ შეთანხმებული? რა შემთხვევაში? გადანყვეტილების შესრულება რამდენადაა დამოკიდებული შემსრულებელზე? გადანყვეტილების მიღებას თან ახლავს რისკი. ერთი შეხვედრა დაეუთმე ამ პრობლემას. გამოვიყენე სქემა, რომელიც შეავსეს მოსწავლეებმა, შემდეგ გავმართეთ მსჯელობა.

აქტივობა IV

გადანყვეტილების მიღების რისკი

Table with 2 columns: 'ეს გადანყვეტილება რომ მიმელო, მაშინ (შედეგი დადებითი იქნებოდა)' and 'ეს გადანყვეტილება რომ მიმელო, მაშინ (შედეგი უარყოფითი იქნებოდა)'. The table is currently empty for data entry.

ვიყენებთ სიტუაციათა გარჩევის მეთოდს.

პირობა: საკუთარი ქცევის შესახებ ადამიანი შეფასებას სხვა ადამიანებისგანაც იღებს. თუ დადებითი რეაქცია აქვს, ვხვდებით, რომ ჩვენი ქცევა სიტუაციის და მიზნის შესაფერისია. თუ წინააღმდეგობას დავინახავთ, უნდა დავფიქრდეთ, რატომ იწვევს ჩვენი ქცევა ასეთ რეაქციას.

ამ შემთხვევაში, ორი ალტერნატივა გვაქვს: შეგვიძლია დავაკვირდეთ ჩვენს ქცევას და ვაანალიზოთ, რატომ გამოიწვია მან წინააღმდეგობა ან შევარჩიოთ პირდაპირი მიდგომა, მაგალითად, როგორ შეიძლება ჩემი ქცევის შეცვლა ისე, რომ სხვისთვის მისაღები იყოს?

დავალბა: შენ რომელს აირჩევ?

ამ აქტივობას აზრთა დიდი სხვაობა მოჰყვა: „რატომ ვიარო სხვის ჭკუაზე“, „სხვას არ მოსწონს, მე მომწონს“ და ა.შ. მსჯელობით მივედით დასკვნამდე – ნუ მოექცევი სხვას ან სხვასთან ისე, როგორადაც არ გინდა, მოგექცენ.

აქტივობა V

ქცევის შეფასების კულტურა

განვიხილოთ სხვადასხვა სიტუაციების შეფასების ვარიანტები, ავირჩიოთ სასარგებლო. მაგალითად:

I. ჩემი საუბრის აქცენტი თავისებურებით ხასიათდება.

- ა) შეფასება: შენი საუბრის აქცენტი მალიზიანებს;
ბ) შეფასება: უკეთესია, თუ ხმის ტონს შეცვლი, ასე, უფრო დამაჯერებელია.

II. დაფასთან დგომისას, მუშაობისა და პრეზენტაციის დროს, ჩემი ქცევა კლასში სიცილს იწვევს.

- ა) შეფასება: შენ სასაცილოდ გამოიყურები;
ბ) შეფასება: ეგებ შეარჩიო დგომის სხვა სტილი, რაც შენს გარეგნობას უკეთ წარმოაჩენდა.
საინტერესო გამოდგა ქცევის შეფასების ცხრილის გამოყენება. მოსწავლეებმა შეადგინეს საკუთარი ქცევის შეფასების ფურცელი სხვისგან შეფასებისათვის. აღწერეს ერთ-ერთ ვითარებაში თავიანთი ქცევა.

შეფასებისათვის სხვას მიანდეს შეფასების ფურცელი ღია შეკითხვებით.

- ა) რა გავლენა იქონია ჩემმა ქცევამ სიტუაციის დაძაბვაზე?
რა იყო სასარგებლო ჩემს ნათქვამში? ქცევაში?
კიდევ როგორ შეიძლება მოვქცეულიყავი?
ბ) ვფიქრობ, სიტუაციას კარგად გავართვი თავი, თქვენ რას ფიქრობთ?
გამოვიყურებოდი დამაჯერებლად, სწორია ჩემი შეხედულება?
ვფიქრობ, კარგად ვაკონტროლებდი ქცევას, შენც ასე ფიქრობ?

აქტივობა VI

ქცევის შეფასებისათვის განვიხილოთ ცხრილი

შეფასება-წახალისება თუ დასჯა

Table with 2 columns: 'წახალისება' and 'დასჯა'. It lists various behavioral scenarios and their corresponding positive or negative consequences.

გახსოვდეთ გამოთქმა: არ არსებობს კრახი, უბრალოდ, არსებობს კრიტიკული შეფასება.

აქტივობა VII – „ლუზის დაშვება“ გამოდგა სახალისოდ და სასარგებლოც.

მსჯელობა იმის თაობაზე, რომ უნდა შევძლოთ საკუთარი ქცევის კონტროლი:
• შევძლოთ ჩვენი ქცევის მართვა ნებისმიერ მომენტში, როცა დაგვჭირდება;
• შევძლოთ გამკლავება გონებრივ, ემოციურ, ფიზიკურ მოულოდნელობებთან, გარე ფაქტორებთან.

რატომ „ლუზა“ – ლუზის მთავარი ფუნქციაა გემს შეუნარჩუნოს სიმყარე. იგი იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია გაუძლოს ქარსა და ცუდ ამინდს. მას გემით ატარებენ და როცა სჭირდებათ, მაშინ იყენებენ.

მზიარული დავალება: გაიხსენეთ თქვენი ცხოვრებიდან ისეთი ეპიზოდი, რომელიც ხელახლა რომ განემორდეს, „ლუზას დაუშვებდით“.

მოსწავლეებმა გაიხსენეს ძველი და ახალი ეპიზოდები, რაც საკუთარი უარყოფითი ქცევის ერთგვარი შეფასებაც გამოვიდა და მათი თავიდან აცილების მცდელობის სურვილიც.

საკუთარი ქცევის კონტროლის უნარის განვითარებისათვის განსაკუთრებით ეფექტური იყო წმინდა მამათა დარიგებების შესწავლა-გაცნობიერება. შემოგთავაზებთ ზოგიერთ მასალას.

ღირსი მამა სერაფიმე საროველი – „როგორ შევინარჩუნოთ სულიერი სიმშვიდე“: მთელი ძალისხმევით ეცადე, რომ სულის მშვიდობა დაცვა და კაცთაგან მომავალმა შეურაცხყოფამ არ შეგაშფოთოს. ამისათვის ყველანაირად უნდა ეცადო მრისხანების დაოკებას... იმისათვის, რომ სულის სიმშვიდე შეინარჩუნო, ასევე აუცილებელია განერიდო ადამიანების განკითხვას... ხოლო იმისათვის, რომ არ განიკითხო სხვა, თვალყური უნდა ადევნო საკუთარ თავს, ხშირად დაუფიქრდე საკუთარ საქციელს. ვინც საკუთარი თავის დაკვირვებით არის დაკავებული, მას სხვისთვის თვალყურის სადევნებლად არა სცალია. თავი განიკითხე და მოეშვი კაცთა განკითხვას. ცუდი საქმე კი განიკითხე, მაგრამ თვითონ ადამიანს ნუ ერჩი.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი:

„როდესაც შინაგანი ცხოვრება დაემორჩილება სახარებას, მაშინ გარეგანი მოქმედებანი ჩვენი იქნებიან კეთილი“.

„უკეთესი შენი ყოფაქცევით აბრკოლებ ძმასა შენსა, შენ არღვევ შენობას ღვთისას“.

„გამოიკვლიე, მოიშალე რომელიმე ცუდნი ჩვეულებანი, ბოროტი მიდრეკილებანი თუ, სამწუხაროდ, უფრო გააძლიერე“.

„მოქცევის კაცისას წინ უძღვის ესე: მოეგო თავსა თვისსა“.

„როგორც კი გათავდება ძველი წელი და დგება ახალი, შევადგინოთ ანგარიში, რომელიც ესაჭიროება და უმეტესად სასარგებლოა თითოეულისათვის. ესაა „ქრისტიანული ზნეობით ცხოვრებისა და ყოფაქცევის ანგარიში წასული წლის განმავლობაში“.

ეს რჩევები გავითავისებთ და კლასი ემზადება ასეთი ანგარიშის დასაწერად.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქი უნმინდესი და უნეტარესი ილია II გვირჩევენ:

- ადამიანს არავინ გაუკეთებს ისეთ ბოროტებას, არავინ მიაყენებს ისეთ ზიანს, როგორც შეიძლება მან საკუთარ თავს გაუკეთოს. ამიტომ გვექონდეს გული გონიერი, უნდა ვიფიქროთ სიკეთეზე, ვაკეთოთ სიკეთე, ვთესოთ სიყვარული და სიყვარული მოვიმოკოთ.“
• ადამიანის ბედი ღვთის ხელშია და შემდეგ თავად ადამიანის ხელში. ვაკეთოთ სიკეთე, სიყვარული ვთესოთ და ვივლოთ ბედნიერება.“

ეს რჩევა ჩემთვის უმთავრესია და ამიტომ ვცდილობ, დავეხმარო მოსწავლეებს საკუთარი ქცევის კონტროლის უნარის განვითარებაში, რათა მათი ქცევა სიკეთის და სათნოების გამოხატვლი იყოს.

ირა აბულაძე

სსიპ ნიჭიურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. სოციალური პედაგოგია – ბათუმი, 2009 წელი (ც. მეგრელაძე, ხ. მახარაშვილი, გ. გელაძე);
2. შემოპრუნება სიკეთისკენ – 2008 წელი (გ. გელაძე, ნ. შეროზია);
3. მოყვანის სიყვარული – ბათუმი, 1992 წელი (ც. მეგრელაძე, რედაქტორი: ალექსანდრე გობრონიძე);
4. ზნეობრივი ღვთისმეტყველება – ბათუმი, 1992 წელი;
5. მოზარდის გვერდით – პარიზი, 2004 წელი (დალტო ფრანსუაზე);
6. საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უნმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ქადაგება (2018 წ.).

სპორტი

ტაჯიკები მოულოდნელად ბავახარეთი

ახალი სეზონის დადგომასთან ერთად, აქტიურად შეუდგა მზადებას საქართველოს 17-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები: გუნდი ჯერ მინსკში გამოვიდა „განვითარების თასზე“, ახლა კი ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. მინსკში „განვითარების თასი“ მეთექვსმეტედ ჩატარდა. ბოლო წლებში ჩვენები იქ სისტემატურად გამოდიან და ჩემპიონებიც კი გამხდარან, თუმცა ამჯერად **გიორგი ჩიტაურის** გუნდმა არცთუ წარმატებით იასპარეზა. მათ პირველ შეხვედრაში ისრაელის ნაკრებთან ფრედ ითამაშეს – 1:1, მერე ისლანდიას მოუგეს – 1:0, მაგრამ ჯგუფის ბოლო შეხვედრაში გამოგნებელი მარცხი იწვევს... ტაჯიკეთთან: 1:2. ამ წაგების გამო ჩვენები ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდნენ და მხოლოდ მეხუთე ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. იქ მათი მეტოქე ფინეთის ნაკრები იყო, თუმცა, სამწუხაროდ, მათთანაც წააგეს – 0:1 და საბოლოოდ მეექვსე ადგილს დასჯერდნენ.



ამის შემდეგ ჩვენებმა ესპანეთში გადაინაცვლეს, სადაც ოთხთა საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. საქართველოს ნაკრებმა ის შეჯიბრება წაგებით დაიწყო – პოლონეთთან 0:2 დამარცხდა.

ერთი შეხვედრით, ასეთი დასაწყისის შემდეგ თითქოსდა რისი იმედი უნდა გვქონოდა, მაგრამ მოულოდნელად, ჩვენებმა, მომდევნო შეხვედრაში ხორვატიასთან „ხელი გამოიღეს“ და საკმაოდ ძლიერ მეტოქეს 3:2 მოუგეს. ქართველთაგან განსაკუთრებით **გიორგი გვიშანი** გამოიჩინა – დუბლი მიითვალა, მას კი ერთი გოლით **გიზო მამაგვიშვილი** შეენია.

ჩვენს ნაკრებს ბოლო შეხვედრა ნორვეგიასთან დარჩა სათამაშო.

ამასობაში „განვითარების თასზე“ მონაწილეობისთვის უცხოეთში საქართველოს 16-წლამდე გოგონათა ნაკრებიც გაემგზავრა, ოღონდ ამ შეჯიბრებას ალბანეთი უმასპინძლებს, კონკრეტულად – ქალაქი დურესი. ამ ტურნირშიც ოთხი ნაკრები იასპარეზებს – საქართველო, ალბანეთი, ლიეტუვა და ჩერნოგორია.

ჭაბუკებმა ზესტაფონიდან დაიწყეს

8-9 თებერვალს ზესტაფონში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა ჭაბუკ ძიუდოსტთა შორის, ოღონდ მხოლოდ – ბი-



ჭებში. მისი შედეგებით გამოიკვეთა ნაკრების ბირთვი, რომელიც გააგრძელებს მზადებას სეზონის მთავარი შეჯიბრებებისთვის. უახლოესი ასეთი ტურნირი თვის ბოლოს ანთალიაში გასამართავი თასი იქნება, სადაც ქვეყნის ჩემპიონატის ყველა მედალოსანი გაემგზავრება.

უკვე რამდენიმე წელიწადია, ძიუდოში ყველა ასაკობრივ კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონატი განსხვავებული ფორმატით ტარდება – ჯერ იმართება ზონალური შესარჩევი შეჯიბრებები და გარკვეული კვოტის მქონე ძიუდოსტები იღებენ ფინალური ეტაპის, ანუ ქვეყნის ჩემპიონატში გამოსვლის უფლებას. გამონაკლისი არც ჭაბუკთა ასაკია – იქაც ტარდება შესარჩევი შეჯიბრებები, რასაც სხვა დანიშნულებაც აქვს: ჩვენი ფედერაცია მათ ძირითადად გვიან შემოდგომასა და ზამთარში ატარებს, იმ დროს, როცა ჭაბუკებს საერთაშორისო კალენდარში პაუზა აქვთ, რასაც სწორედ შიდა შეჯიბრებებით ავსებენ, თორემ ძალიან დიდი სატურნირო პაუზა გამოუდიოდათ.

რაც შეეხება ამ ტურნირს, საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: **ალექო ჯანეზაშვილი** (50), **გიორგი სარდალაშვილი** (55), **თენგიზ ზირაქიშვილი** (60), **კოტე კაპანაძე** (66), **ალექსანდრე ლოლაძე** (73), **გიორგი მარმალიძე** (81), **მიხეილ ჯაფარიძე** (90) და **შალვა გურეშიძე** (+90).

თუმცა, საქართველოს ჩემპიონობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მათ გაინაღდეს ნაკრებში ადგილი. უბრალოდ, ეს პირველი ეტაპია, ახლა კი მათ საერთაშორისო ტურნირებშიც უნდა დაამტკიცონ, რომ სხვებზე რეალურად ძლიერები არიან და იმსახურებენ ნაკრებში ადგილს. საერთაშორისო ტურნირებიც სწორედ ამიტომ ტარდება.

მუშაქტეობები დაირაზმნენ

ამ მუშაქტეობებმა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებით მოიპოვეს, ქვეყნის პირველობას კი რამდენიმე დღის წინ თბილისის ფარიკაობის დარბაზმა უმასპინძლა ორივე ასაკში.

საბედნიეროდ, ფარიკაობაც ერთ-ერთი იმ სახეობათაგანია, რომელიც ბოლო წლებში საქართველოში ფრიალ ალმაგლობას განიცდის. უკვე გვაქვს ხელშესახები წარმატებები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში როგორც უფროსებში, ასევე – ასაკობრივ ნაკრებთა დონეზეც. იმედია, ჩვენები ახლაც წარმატებით გამოვლენ ევროპის პირველობაზე.



მამუქელაშვილი წარმატებით დაბრუნდა

ამერიკის სტუდენტურ ლიგაში მაჯის ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ, მოედანს დაუბრუნდა 20 წლის ქართველი კალათბურთელი **სანდრო მამუქელაშვილი** და „დეპოლის“ წინააღმდეგ გამართულ საშინაო შეხვედრაში პარკეტზე 5 წუთიც დაჰყო.

„სეტონ ჰოლის“ რიგებში მოთამაშე მამუქელაშვილმა საკმაოდ მძიმე ტრავმა, შარშან, 9 დეკემბერს, „აიოვასთან“ შეხვედრაში მიიღო – მაჯის ძვალი გაიტეხა. ექიმებმა მამუქელაშვილი მოთქვეს ვარაუდი, რომ თებერვლის დასაწყისამდე მოედანზე დაბრუნებას ვერ შეძლებდა და მართლაც ასე მოხდა.

„დეპოლთან“ თამაშის წინ მამუქელაშვილმა მხოლოდ 4 ვარჯიში ჩაატარა, რაც ეტყობოდა კიდევ მის თამაშს. არც მწვრთნელმა, **კევინ პრიტჩარდმა** დატვირთა დიდად – პირველ ტაიმში მხოლოდ 5 წუთით შეიყვანა, თუმცა დარბაზში შეკრებილი 9 ათასი მაყურებელი მამუქელაშვილს ფეხზე წამოუდგა და ოვაციით შეეგება. ამ მცირე დროში ჩვენმა კალათბურთელმა მხოლოდ 1 საჯარიმო გამოიყენა, 1 სამქულიანი ააცილა და თანაც ორი გაფრთხილება მიიღო. მეორე ტაიმში მწვრთნელს ის აღარ გამოუყვანია, თუმცა მისი თამაშით მაინც კმაყოფილება გამოხატა: „სიმართლე გითხრათ, სანდრო მოსალოდნელზე უკეთ გამოიყურებოდა – მან ხომ დღევანდელ თამაშამდე მხოლოდ ოთხჯერ ივარჯიშა. მის დაბრუნებას ალელვებული ვუყურებდი, ის კი მშვიდი იყო და ეს მომეწონა. მეორე ტაიმში სანდროს მოედანზე დაბრუნება საჭიროდ აღარ მივიჩნიე – კალათბურთელისთვის, რომელსაც ამდენი ხანი არ უთამაშია, უბრალოდ, შესაფერისი დრო არ იყო“.



ზემოაღნიშნულ შეხვედრაში „სეტონ ჰოლმა“ „დეპოლს“ 64:57 აჯობა, რაც მისთვის ზედიზედ მე-10, მთლიანად სტუდენტურ ლიგაში გამართული მე-2 პაექრობიდან კი, მე-16 გამარჯვება იყო. ზედიზედ 10 მოგება – ასეთი შედეგი ამ კლუბს 1992-93 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია, თუმცა, სამწუხაროდ, წარმატებული სერია მეტად ვეღარ გააგრძელეს: 1 თებერვალს გუნდი შინ 62:74 დამარცხდა „ქსაიერთან“. სამაგიეროდ, ამ შეხვედრაში საკმაოდ კარგად გაისარჯა მამუქელაშვილი, მას მწვრთნელმა 16 წუთი მისცა თავის გამოსაჩენად. ქართველმა ეს შანსი გამოიყენა კიდევ: 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 5-დან 2 საჯარიმოც დაუმატა და, ჯამში, 10 ქულა დააგროვა.

ნაგების მიუხედავად, „სეტონ ჰოლი“ ზღ ისთვის კონფერენციაში 8 მოგებით კვლავაც ინარჩუნებს პირველობას. მას ერთი ქულით ჩამორჩება „ვილანოვა“, 2-ით – „კრაიგტონი“ და „მარკეტი“.

ორი მედალი ბაქოლან

ამ დღეებში ბაქო კვლავაც უმასპინძლა 1990 წლის 19-20 იანვრის მოვლენებისას ტრავიკულად დაღუპული მუშეგის ისაევის მემორიალს ჭაბუკთა შორის, რომელშიც ამჯერად, მასპინძლებთან ერთად, ყაზახეთის, უზბეკეთის, რუსეთისა და საქართველოს გუნდები გამოდიოდნენ.

ჩვენი ჭაბუკთა ნაკრები სრული შემადგენლობით გამოვიდა, თუმცა 10 წონიდან მხოლოდ ორში შეძლო მედლის მოპოვება და, საბოლოოდ, თითო ვერცხლი და ბრინჯაო დაისაკუთრა. მძიმე წონაში ფინალში გასვლა **გიგა შავაძემ** შეძლო, მაგრამ რუსეთის წარმომადგენელ **საიდ-ჰასან ახმატოვთან** დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. 71 კილოგრამში მესამე ადგილზე **თორნიკე ლობჯანიძე** გავიდა.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის „წლის ბიგანტი“

თორნიკე შენგელია ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის გასული წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს!




საქართველოს ნაკრების ლიდერი „წლის გიგანტის“ პრიზის მფლობელი გახდა. ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონია, მადრიდში, ოცდამეთორმეტედ გაიმართა და „ლიგა ენდესას“ საუკეთესო მოთამაშის ტიტული ქართველ მძიმე ფორვარდს ერგო.

„ბასკონიას“ ქართველ კაპიტანს სპეციალური პრიზი ლიგის გენერალურმა დირექტორმა, **იგნასიო ნიმენეს სოლერმა** გადასცა. წლებანდელ სეზონში თორნიკე შენგელია 33 წუთში, საშუალოდ, 16.1 ქულას, 6 მოხსნას, 2.6 პასს, 0.3 დაფარებასა და 1.4 ჩაჭრას აგროვებს, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 18.6-ია.

დაჯილდოების ცერემონიისას გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში გამოავლინეს. ლონისძიებისას, ასევე, ტრავიკულად დაღუპული **კობი ბრანატი** გაიხსენეს და ნომინაციაში „ლეგენდის გახსენება“ სწორედ იგი გამოარჩიეს.

**გამომცემლობა „ახალი განათლება“
გთავაზობთ**



**ბავშვ სულაქაურის გამომცემლობა
ნაგვილი და მოგონილი ამბები**

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გათვალისწინებით.



სერიის ფასი – 32.40ლ

**„ინტელექტი“
და „არტანუჯი“
გთავაზობთ**

ნიგნი დაწერილია ავტორიტეტისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.



გავიგეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)




ნიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა
ნიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა
ნიგნი III
XIX საუკუნის
მწერლობა

**ტესტები ქართულ
ლიტერატურაში
ეროვნული
გამოცდისათვის**

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

**პროფესიული უნარები
თეორიული მასალა**



15 ლარი

**პროფესიული უნარები
ტესტები**



15 ლარი

**ტესტის გააზრება
ანალიტიკური წერა**



15 ლარი

**მასწავლებლის
ბიბლიოთეკა**



8 ლარი

**ინოვაციური
გაკვეთილები
დაწყებით კლასებში**



6.50 ლარი

**ქართული (I-VI კლ.)
მასწავლებლის
გამოცდებისათვის**



11 ლარი

**სწოვარი
დაწყებითი
კლასებისათვის**



14 ლარი

პროფესიული უნარები
300 მნიშვნელოვანი
კითხვა-პასუხებით
კითხვა-პასუხის კონცეფციის აგებული გზამკვლევი დაეხმარება სტუდენტებს, დაწყებულ მასწავლებლებს, პრაქტიკოს მასწავლებლებს, განსაკუთრებით გამოცდებზე გამსწავლ მასწავლებლებს მასალის გადმოცემაში.

**ინტერაქტიური
მეთოდების კრებული**



7 ლარი

**კათედრის გაგების
პორტფოლიო**



6 ლარი



პირველი სრულად
ფარავს პროგრამის
I-IV კლასების
კომპონენტული
გამოცდისათვის.
მასში 1000-მდე ტესტური
დავალებაა
პასუხებით და
მეთოდური
რეკომენდაციებით.
15 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
გ/კ LBRTGE22

შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით:

555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

